„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№6 (322)
ივნისი
2025 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეშვიდე წელი "LITERATURULI MESKHETI"

შოთა ლომსაძე - 100

ლვაწლ-მოსილი მეცნიერის სიყვარულით

მერაბ ბერიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი წასვლით იწვევენ დიდ გულისწყვეტას, დანანებას და ამით ქრებიან ჩვენს მეხსიერებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ასეთები ბევრნი არიან. მათ პატიოსნად გაუვლიათ თავიანთი ცხოვრება, უშრომიათ, უღვაწიათ, შეუქმნიათ საზოგადოებისათვის სიკეთე. ჰყოლიათ ლამაზი ოჯახი, დაუტოვებიათ შთამომავლობა და პირნათელნი შეგებებიან სამუდამო სასუფეველს.

შოთა ლომსაძე ის კაცი იყო, რომელიც მთელი თავისი ცხოვრებით იღწვოდა სამშობლოს, მამულის, მისი ისტორიის, მეცნიერული შესწავლისათვის. დღესა და ღამეს ათენებდა წარსულის თითოეულ ფაქტთან დაკავშირებით. აცოცხლებდა გარდასულ დროთა ეპოქებს და ამით მომავალს აძლევდა დიდ სტიმულს, დიდი დაფიქრების საფუძელს, რომ სამშობლო არ არის ერთჯერადი სიყვარულის ობიექტი, რომ სხვა რამეა სამშობლო, რომლისთვისაც ღირდა ცხოვრება და რაც მთვარია, შოთა ლომსაძე გარდაცვალების შემდეგაც ისევ გვინათებს საქვეყნო, სამამულო იდეებისათვის ღწვის გზებს. დღესაც, როგორც მაშინ, როდესაც თავისი ჯავახური შემართებით არ უყვარდა უკან დახევა, საქმე რომ მამულს ეხებოდა. ვრცელი თემაა შოთა ლომსაძე და ისტორია. ვინც საქართველოს და, განსაკუთრებით, სამხრეთ საქართველოს ისტორიას სწავლობს, გვერდს ვერ აუვლის მის შესანიშნავ წიგნებს, განსაკუთრებით კი – „სამცხე-ჯავახეთს“.

შოთა ლომსაძე პირველი იყო ქართველ ისტორიკოსთა შორის, ვინც მონოგრაფიულად შეისწავლა „ახალი დროის“ მესხეთი, დღევანდელი სამცხე-ჯავახეთი. გამოვიდა იმ რომანტიკული ფერებიდან, ზოგადი წარმოდგენიდან, რომლის მიხედვითაც მესხეთი მხოლოდ წარსულზე გვიქმნიდა წარმოდგენას. მესხეთის ქვეშ მხოლოდ აყვავებული, ძლიერი და მაღალკულტურული „ქვეყანა“ იყო ჩვენი სამშობლოსი. მან მე-19 საუკუნის კვლევის საფუძველზე აჩვენა ის ისტორიულ-ეთნიკური რეალობა, რაც ჩამოყალიბდა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. უცხოურ და ქართულ დოკუმენტებზე დაყრდნობით დაგვიხატა მრავალეთნიკური და მრავალკომფესიური სიტუაცია, რომელიც სწორედ ამ პერიოდში იქმნება. თვითონ ტერმინი „სამცხე-ჯავახეთი“ შოთა ლომსაძის დაჟინებული მოთხოვნით იქნა შემოღებული მესხეთ-ჯავახეთის ნაცვლად, რადგან მეცნიერი თვლიდა, რომ მესხეთი, როგორც ეთნიკური თუ ადმინისტრაციული ტერმინი, არავითარ შემთხვევაში არ უპირისპირდებოდა ჯავახეთს, რომ ჯავახეთი მესხეთის ისეთივე ნაწილი იყო, როგორც სამცხე, ტაო, კლარჯეთი, არტაანი, ერუშეთი, შავშეთი და სხვა. ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, დღევანდელი ადმინისტრაციული ტერმინი – სამცხე-ჯავახეთის მხარე, სწორედ შოთა ლომსაძის და მისი შრომების საშუალებით არის ხელდასმული.

შოთა ლომსაძემ განსაკუთრებული ღირსებითა და პატივით გამოიკვლია კათოლიკური მესხეთი. დიდია მისი ღვაწლი მიხეილ თამარაშვილის ბიოგრაფიის და მეცნიერული შრომების მიმართ. შოთა ლომსაძემ გვიჩვენა, რომ კონფესიურობა, განსხვავებული რელიგიური მრწამსი, არავითარ შემთხვევაში არ უნდა უპირისპირდებოდეს ეროვნულს. ქართველ კათოლიკებს, რომელთაც „ფრანგებს“ ეძახდნენ საქართველოში, არავითარი კავშირი არ ჰქონდათ ფრანგობასთან. მთავარია, რომ ისინი იყვნენ ქართველები და გამორჩეული ქართველები მე-19 საუკუნეში. თავიანთი კათოლიკობით იბრძოდნენ სამშობლოს ერთიანობის, განათლებისა და მომავლისათვის. მე-19 საუკუნის ქართველ კათოლიკეთა ღვაწლი კიდევ უფრო ნათლად ჩანს დღეს, როდესაც სარწმუნოებრივი დაპირისპირება სხვა რეესტრში არის აყვანილი და გლობალურ ხასიათს ატარებს. როდესაც რთულია ჩვენნაირმა ერებმა გაუძლონ სწორედ მრავალსარწმუნოებრივ დაწოლას, შოთა ლომსაძე სწორედ ამის შესახებ გვაფრთხილებდა ყოველთვის და, რაც მთავარია, ამ ყველაფრის საფუძელი სწორედ ქართველ კათოლიკე მამათა საქმიანობა იყო როგორც საქართველოში, ისე თურქეთში, თურქეთის ქართულ სავანეში – ფერიქოვში. „სამცხე-ჯავახეთში“ უდიდესი ადგილი ეთმობა სამცხისა და ჯავახეთის ეთნიკური შემადგენლობის ახალი ფორმის ჩამოყალიბებას, რომელიც სხვადასხვა ეროვნების მიგრანტთა საფუძველზე მოხდა. მან დეტალურად შეისწავლა სომეხ მიგრანტთა შემოსახლება სამცხესა და ჯავახეთში, მათი წინამძღოლები, თურქეთისა და რუსეთის სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება. რუსეთი ასეთ შემთხვევაში თავის იმპერიულ ზრახვებს აწესრიგებს, როდესაც თურქეთიდან ჩამოასახლებს სომხებს, რათა იმპერიის სამხრეთ საზღვრებზე საიმედო დასაყრდენი გაიჩინოს. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ამისათვის რუსი და უკრაინელი სექტანტების – დუხობორებისა და მალაკნების, ასევე ბერძნების ჩამოსახლებას ჯავახეთში და ა.შ.

ეს პროცესი მიმდინარეობდა ადმინისტრაციული მეთოდით, წინასწარი პროექტებითა და გეგმით და აქედან გამომდინარე, შედეგიც ნათელი იყო. ჩამოსახლებულ მიგრანტთა უკან იდგა იმპერია და მათი პრივილეგიების საფუძველზე ირღვეოდა ისტორიული მესხეთი. მეცნიერი ამ რღვევის პროცესს კიდევ უფრო მწვავედ გვიხატავს, როდესაც გამუსლიმებულ ქართველთა ისტორიას წარმოგვიდგენს. მესხეთის გამუსლიმება, მე-17 - მე - 18 საუკუნიდან მოყოლებული, ყველაზე რეალურ ხასიათს სწორედ მე-19 საუკუნეში ღებულობს, ამიტომ შოთა ლომსაძის კვლევის სფერო, მიზანი, არის მუსლიმი ქართველების ბედის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა.

კომუნისტურ ეპოქაში არ იყო ადვილი დასმულიყო კითხვა: რატომ ხდებოდა, რომ კავკასიაში ქრისტიანობის მხსნელის იდეით შემოსული რუსეთი აქტიურად უჭერდა მხარს მესხების გამუსლიმებას და მათ გასახლებას სამშობლოდან. ეს პროცესი შემდეგ ფიქსირდება და დასტურდება რუსული კანცელარიის მიერ ჩატარებულ კამერალურ აღწერებში, რომლებშიც კარგად ჩანს, რომ თუ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, ამა თუ იმ სოფელში ცხოვრობდნენ მუსლიმი ქართველები და ასე იყვნენ ისინი დაფიქსირებულნი ეროვნულსარწმუნოებრივ გრაფაში, მე-19 საუკუნის ბოლოს მათ უკვე უწოდებენ „თათრ“ და ეს ის ხალხი იყო, რომლებიც მე-20 საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში გაასახლეს მესხეთიდან როგორც თურქები. შემთხვევითი არ არის, რომ მე-19 საუკუნის თემა, რასაც ეხება შოთა ლომსაძის სამცხე-ჯავახეთი, გადმოვიდა მე-20 საუკუნეში. პროცესი, რომელიც დაიწყო ოსმალეთმა, გააგრძელა მე-19 საუკუნეში რუსეთმა და დაასრულა მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში საბჭოთა ხელისუფლებამ, გადამწყვეტი აღმოჩნდა მესხეთის, როგორც ეთნიკურ-ადმინისტრაციული „ქვეყნის“ დაშლაში.

ამ ყველაფრისთვის მთელი ცხოვრება იბრძოდა შოთა ლომსაძე. ის ყველაფერს აკეთებდა იმის დასამტკიცებლად, რომ მუსლიმი ქართველები, მუსლიმი მესხები ისეთივე ქართველები არიან, როგორც სხვა დანარჩენი სარწმუნოების წარმომადგენელი ქართველები, რომ მათი სარწმუნოებრივი ცვლილება არ უნდა გამხდარიყო ეროვნულობის ცვლილება. არ დაგვავიწყდება ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი მესხეთის ცხოვრებაში, როდესაც საქმე ეხებოდა მუსლიმი ქართველების ქართველობის მტკიცებას და შოთა ლომსაძის ამ საქმეში განსაკუთრებულ თავდადებას, ერთმა ვაიქართველმა ხმამაღლა, საქვეყნოდ, მიტინგზე რომ განაცხადა, უნდა დაიწვას შოთა ლომსაძის წიგნებიო. ქართველები ხომ ტრაგიკული ბედის ხალხი ვართ საერთოდ, შექმნილი სიტუაციის დროს აღარ ვგახსენდება აღარც ისტორია და აღარც ქვეყნის მომავალი, ოღონდ ვიღაცას და რაღაცას ვასიამოვნოთ, ამით რომ ჩვენი უსუსური ყოფნა გავამართლოთ და უზრუნველვყოთ. დაწვა კი არა, შოთა ლომსაძის წიგნები დღესაც ღაღადებენ, დღესაც გვეუბნებიან, რომ გამოფხიზლდითო, ქართველებო, ჩახედეთ თქვენს ისტორიას! არ შეიძლება არ გავიხსენოთ მეცნიერის პოეტურად ნათქვამი თავისავე „სამცხე-ჯავახეთზე“:

„მე ამ არქივთა ვიწრო სარკმლიდან
საუკუნეთა ვიყავ მზირალი.
თავი გავწირე, გრძნობა ვაწვიმე
და შევქმენ ესე ხმით ნატირალი.
შორს არ გამიდგე, ყური დამიგდე,
არ თქვა ამაოდ თითქოს დავშვერი.
უნდა გავმრავლდეთ, უნდა
გავმრავლდეთ,
უნდა გავმრავლდეთ – აი, საშველი.“

ამიტომ, შეუძლებელია ისაუბრო შოთა ლომსაძეზე და არ აღნიშნო მისი განსაკუთრებული ღვაწლი ქართულ პოეზიაში. უცნაური ბედი დაჰყვა მესხეთს. მის წიაღში იყო ჩასახული ქართული სასულიერო მწერლობა და პოეზია. მესხეთში შეიქმნა სწორედ სასულიერო მწერლობისა და პოეზიის მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოებები. მესხეთში შეიქმნა „ვეფხისტყაოსანი“, აქ ყოველი კუთხე და კუნჭული რუსთველური სუნთქვით სუნთქავს და მოხდა ისე, რომ როდესაც ყალიბდებოდა მე-19 საუკუნის ქართული კლასიკური მწერლობა, არცერთი მესხი ავტორი არ გამოჩენილა შეხოვნით იქნა შემოღებული მესხეთ-ჯავახეთის ნაცვლად, რადგან მეცნიერი თვლიდა, რომ მესხეთი, როგორც ეთნიკური თუ ადმინისტრაციული ტერმინი, არავითარ შემთხვევაში არ უპირისპირდებოდა ჯავახეთს, რომ ჯავახეთი მესხეთის ისეთივე ნაწილი იყო, როგორც სამცხე, ტაო, კლარჯეთი, არტაანი, ერუშეთი, შავშეთი და სხვა. ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, დღევანდელი ადმინისტრაციული ტერმინი – სამცხე-ჯავახეთის მხარე, სწორედ შოთა ლომსაძის და მისი შრომების საშუალებით არის ხელდასმული.

შოთა ლომსაძემ განსაკუთრებული ღირსებითა და პატივით გამოიკვლია კათოლიკური მესხეთი. დიდია მისი ღვაწლი მიხეილ თამარაშვილის ბიოგრაფიის და მეცნიერული შრომების მიმართ. შოთა ლომსაძემ გვიჩვენა, რომ კონფესიურობა, განსხვავებული რელიგიური მრწამსი, არავითარ შემთხვევაში არ უნდა უპირისპირდებოდეს ეროვნულს. ქართველ კათოლიკებს, რომელთაც „ფრანგებს“ ეძახდნენ საქართველოში, არავითარი კავშირი არ ჰქონდათ ფრანგობასთან. მთავარია, რომ ისინი იყვნენ ქართველები და გამორჩეული ქართველები მე-19 საუკუნეში. თავიანთი კათოლიკობით იბრძოდნენ სამშობლოს ერთიანობის, განათლებისა და მომავლისათვის. მე-19 საუკუნის ქართველ კათოლიკეთა ღვაწლი კიდევ უფრო ნათლად ჩანს დღეს, როდესაც სარწმუნოებრივი დაპირისპირება სხვა რეესტრში არის აყვანილი და გლობალურ ხასიათს ატარებს. როდესაც რთულია ჩვენნაირმა ერებმა გაუძლონ სწორედ მრავალსარწმუნოებრივ დაწოლას, შოთა ლომსაძე სწორედ ამის შესახებ გვაფრთხილებდა ყოველთვის და, რაც მთავარია, ამ ყველაფრის საფუძელი სწორედ ქართველ კათოლიკე მამათა საქმიანობა იყო როგორც საქართველოში, ისე თურქეთში, თურქეთის ქართულ სავანეში – ფერიქოვში. „სამცხე-ჯავახეთში“ უდიდესი ადგილი ეთმობა სამცხისა და ჯავახეთის ეთნიკური შემადგენლობის ახალი ფორმის ჩამოყალიბებას, რომელიც სხვადასხვა ეროვნების მიგრანტთა საფუძველზე მოხდა. მან დეტალურად შეისწავლა სომეხ მიგრანტთა შემოსახლება სამცხესა და ჯავახეთში, მათი წინამძღოლები, თურქეთისა და რუსეთის სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება. რუსეთი ასეთ შემთხვევაში თავის იმპერიულ ზრახვებს აწესრიგებს, როდესაც თურქეთიდან ჩამოასახლებს სომხებს, რათა იმპერიის სამხრეთ საზღვრებზე საიმედო დასაყრდენი გაიჩინოს. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ამისათვის რუსი და უკრაინელი სექტანტების – დუხობორებისა და მალაკნების, ასევე ბერძნების ჩამოსახლებას ჯავახეთში და ა.შ.

ეს პროცესი მიმდინარეობდა ადმინისტრაციული მეთოდით, წინასწარი პროექტებითა და გეგმით და აქედან გამომდინარე, შედეგიც ნათელი იყო. ჩამოსახლებულ მიგრანტთა უკან იდგა იმპერია და მათი პრივილეგიების საფუძველზე ირღვეოდა ისტორიული მესხეთი. მეცნიერი ამ რღვევის პროცესს კიდევ უფრო მწვავედ გვიხატავს, როდესაც გამუსლიმებულ ქართველთა ისტორიას წარმოგვიდგენს. მესხეთის გამუსლიმება, მე-17 - მე - 18 საუკუნიდან მოყოლებული, ყველაზე რეალურ ხასიათს სწორედ მე-19 საუკუნეში ღებულობს, ამიტომ შოთა ლომსაძის კვლევის სფერო, მიზანი, არის მუსლიმი ქართველების ბედის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა.

კომუნისტურ ეპოქაში არ იყო ადვილი დასმულიყო კითხვა: რატომ ხდებოდა, რომ კავკასიაში ქრისტიანობის მხსნელის იდეით შემოსული რუსეთი აქტიურად უჭერდა მხარს მესხების გამუსლიმებას და მათ გასახლებას სამშობლოდან. ეს პროცესი შემდეგ ფიქსირდება და დასტურდება რუსული კანცელარიის მიერ ჩატარებულ კამერალურ აღწერებში, რომლებშიც კარგად ჩანს, რომ თუ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, ამა თუ იმ სოფელში ცხოვრობდნენ მუსლიმი ქართველები და ასე იყვნენ ისინი დაფიქსირებულნი ეროვნულსარწმუნოებრივ გრაფაში, მე-19 საუკუნის ბოლოს მათ უკვე უწოდებენ „თათრ“ და ეს ის ხალხი იყო, რომლებიც მე-20 საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში გაასახლეს მესხეთიდან როგორც თურქები. შემთხვევითი არ არის, რომ მე-19 საუკუნის თემა, რასაც ეხება შოთა ლომსაძის სამცხე-ჯავახეთი, გადმოვიდა მე-20 საუკუნეში. პროცესი, რომელიც დაიწყო ოსმალეთმა, გააგრძელა მე-19 საუკუნეში რუსეთმა და დაასრულა მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში საბჭოთა ხელისუფლებამ, გადამწყვეტი აღმოჩნდა მესხეთის, როგორც ეთნიკურ-ადმინისტრაციული „ქვეყნის“ დაშლაში.

ამ ყველაფრისთვის მთელი ცხოვრება იბრძოდა შოთა ლომსაძე. ის ყველაფერს აკეთებდა იმის დასამტკიცებლად, რომ მუსლიმი ქართველები, მუსლიმი მესხები ისეთივე ქართველები არიან, როგორც სხვა დანარჩენი სარწმუნოების წარმომადგენელი ქართველები, რომ მათი სარწმუნოებრივი ცვლილება არ უნდა გამხდარიყო ეროვნულობის ცვლილება. არ დაგვავიწყდება ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი მესხეთის ცხოვრებაში, როდესაც საქმე ეხებოდა მუსლიმი ქართველების ქართველობის მტკიცებას და შოთა ლომსაძის ამ საქმეში განსაკუთრებულ თავდადებას, ერთმა ვაიქართველმა ხმამაღლა, საქვეყნოდ, მიტინგზე რომ განაცხადა, უნდა დაიწვას შოთა ლომსაძის წიგნებიო. ქართველები ხომ ტრაგიკული ბედის ხალხი ვართ საერთოდ, შექმნილი სიტუაციის დროს აღარ ვგახსენდება აღარც ისტორია და აღარც ქვეყნის მომავალი, ოღონდ ვიღაცას და რაღაცას ვასიამოვნოთ, ამით რომ ჩვენი უსუსური ყოფნა გავამართლოთ და უზ-

შოთა ლომსაძე, მუხრან მაჭავარიანი

„ერთი სუნთქვა ვარ მე შენიანად
და სანთურივით ვქრები, ვინთები;
აჰა, გადახსენ ჩემი საგულე, –
და დახლეჩილი ნახე ფილტვები.
ერთი სუნთქვა ვარ მე შენიანად,
ვარ ამომშრალი შენზე ლოცვებით,
სამშობლოვ, თუ სხვა მომკლავს
ზმანება,
შენს სიყვარულში კვლავ
გავცოცხლდები.“

დღეისათვის მესხეთში მოღვაწე პოეტები და მწერლები ხშირად მიმართავენ ისტორიულ თემატიკას, მიმართავენ და იყენებენ კულტურის იმ ძეგლებს, რომლითაც მთელი ჩვენი ქვეყანა ამაყობს. ამ ყველაფრის საფუძვლის ჩამყრელი სწორედ შოთა ლომსაძე იყო ჩვენს მხარეში. მისი პირველი პოეტური კრებული ჯერ კიდევ 1959 წელს გამოვიდა, რომელშიც ავტორი წერდა:

„გადმოსული ვარ ჯავახეთის გზით,
სადაც ზეცაზე სხედან ხოხბები...
და სიმღერებით ქართლში, კახეთში,
ავთანდილივით ქედებს მოვყვები.“

ჯავახეთი, კერძოდ, მისი მშობლიური სოფელი ჩუნჩხა, იქცა პოეტის მაცოცხლებელ, ყოფნისა და ცხოვრების ყველაზე დიდ ძალად ამ ქვეყანაზე: *„ჩუნჩხის წყარონი, ჩუნჩხის წყარონი, მელანდებიან გულში წკარუნით... კლდეებო, ერთხელ მაინც ახსენეთ, თუ სადმე გყავდეთ შვილი მწყურვალი.“* ბატონ შოთას უყვარდა თქმა: *„მე ვარ ტომით ჯავახი, სულით და ცხოვრებით მესხი და ეროვნებით ქართველი.“*

საკუთარ ბედისწერად ქცეულ ჯავახეთსა და ჯავახობაზე არაერთხელ უთქვამს პოეტს:

„ცივ სანგარში თეთრ ღამეებს
ისე როგორ გავათევდი,
ფიქრებში არ დამეხატა
მშობლიური ჯავახეთი.
ცხარე ომში, სადაც ვიყავ,
ჩემი მხარის მტარვალს ვკვეთდი.“

მისი ჯავახობა, მისი მესხობა, მისი ქართველობა გადამდები იყო ნებისმიერი ურთიერთობისას. ამიტომაც არის, რომ მის ლექსებში ყალიბდება და ცოცხლდება ხშირად ჩვენი ისტორია. რა თქმა უნდა, არც ეს არის შემთხვევითი, ეს ხომ მოსალოდნელი იყო პოეტისა და ისტორიკოსისაგან. მისი პოეტური ქმნილებები დეკლარაციული ხასიათისაც კი არის და მათში დღევანდელობის გარდა მომავალზე დაფიქრების აუცილებლობაზე მიგვანიშნებს თავფარავანთან მდგარი პოეტი:

„დღეს აქ რომ სანთლებს არავინ
ანთებს,
იცოდე, მეტი სიფხიზლე გვმართებს.

გაგრძელება მე-9 გვ. ▶

ეჭვიანი

მზია სალვარიძე

ვაკანსიების გვერდზე შევიდა და სათავისოს რომ ვერაფერს მიაგნო, ხელჩაქნეულმა ყველაფრის კითხვა დაიწყო. მხერხავი, მკერავი, მზვერავი, მფხეკავიც კი სჭირდებოდათ. გაეცინა, განა ისეთი რა უნდა მიჭირდეს, ავდგე და მე, უბედურ დღეზე გაჩენილმა, ვინმესთან ან სადმე მფხეკავად მოვეწყოო... სიმწრის ხავილი აღმოხდა და კითხვა განაგრძო. მფხეკავსაც ეძებდნენ თურმე. ნეტა, რა უნდა ვფხიკოო, დაინტერესდა და ნომერი აკრიფა. შაბლონური კითხვა-პასუხის შემდეგ გაარკვია, რომ რაზეც მიაყენებდნენ, ის უნდა ეფხიკა. არც გამოცდილებას ითხოვდნენ და არც განსაკუთრებულ უნარ-ჩვევებს. ბოლო-ბოლო, მღებავად ხომ არ მიდიოდა, რამე პასუხისმგებლობა რომ ეგრძნო? ადგა და წავიდა.

ჯერ დაჟანგულ ღობეზე მიუთითეს, მერე საღებავგაცლილ მესერზე, სერის გაღმა რომ გადადიოდა. მესერი აირჩია, გიჩვენებთ თქვენ სეირსო, ტომ სოიერივით მიმოიხედა ვინმეს გასასულელებლად, მაგრამ დამსაქმებლის გარდა სულიერი რომ ვერსად დალანდა, აუჩქარებლად შეუდგა ფხეკას. თავისმა ახალმა საქმიანობამ რატომღაც ეკა გაახსენა, მისი კარის მეზობელი, ერთი წვრილკანჭა და ფხუკიანი გოგო. ის ასაშენებელი გამოიტანდა საერთო აივანზე გაშავებულ გობებსა და ტაფებს და თავისი უსუსური ხელებით ფხეკდა და ფხეკდა, ფხეკდა და ფხეკდა... უყურებდა აივნის ბოლოდან აივნის თავში წვრილკანჭას ჯაჯგურს დღევანდელი მფხეკავი და თავს ძლივს იკავებდა ბრაზისგან. ერთხელაც იქნება გადავუყრიო, ფიქრობდა და ხის მოაჯირებს მუჯლუგუნებს ურტყამდა. ბოლოს წამოდგა, გამოიტანა ელექტრო ზუმფარა და ხუთ წუთში ხუთი საათის საჯახირო დაუმთავრა. მერე აუხირდა, აქ მეორედ აღარ გამოიტანო, თორემ აივნიდან მოვისვრიო და მორყეულ მაგიდას ისე დაჰკრა მუშტი, უწესრიგოდ დახვავებულმა ჯამ-ჭურჭელმა ჭურვებივით დაიწყეს ცვენა იატაკზე.

– როყიო, – მიაძახა ეკამ მეზობელს და იატაკიდან ნივთების ალაგების ნაცვლად პირველი, რაც ხელში მოხვდა, პირდაპირ კოჭებში გაუქნია მფხეკავს.

– ავოო, – დაუბრუნა იმანაც ხურდა და ორივემ, კარგად შეფუცხუნებულ- შეხურებულებმა თავთავიანთი კარები გამოიხურეს...

იდგა მესერთან მექანიკური ზუმბარით ხელში და რა ჯანდაბამ გამახსენა ის წვრილკანჭაო, – საკუთარ თავზე მოსდიოდა ბრაზი...

მესერს რომ მორჩა, დამსაქმებელს ანაზღაურება მოსთხოვა. იმ გასახარელს იჩქითად ბრაზი მოერია, ორ-სამჯერ კანტუზიანივით ფეხზე იჩქმიტა, მყის მყესები დაეჭიმა ყელზე და მოყელყელავე კაცის ენთუზიაზმით უსიტყვოდ მოუზომა დაჟანგულ-დაუჟანგავი ღობეები გასაფხეკად. რა ეთქმოდა, რისი თავიცა და გასაქანიც ჰქონდა, ის ხომ ითავა? ხოდა უსიტყვოდ შეუდგა საქმეს.

ღობემ შემდუღებელი სლავიკა გაახსენა, მთელი ეზო „სვარშიკ სლავას“ რომ ეძახდა. მერე იმისი ცოლიც მოიგონა, აკლებული რომ ჰქონდა ეზო-კარი დაუსრულებელი წივილ-კივილით... სლავას საამქრო საკუთარ ფარეხში ჰქონდა მოწყობილი და მგონი კაცი არ დარჩენილა მათ უბანში, ვისთვისაც ხელი არ გაუმართავს. რუსი და ასეთი გულიანიო, უკვირდა ყველას, მაგრამ, როცა იხსენებდნენ რა დედის შვილიც იყო, ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები თუ ქურთები, ყველა გაიძახოდა, – ასეთი კაი ბიჭი, უეჭველი ჩემიანის გაკეთებული იქნებაო...

ეზოში ხვიარა წვრილი ვარდის ხეივანი ჰქონდათ. იმის ხილვას არაფერი სჯობდა გაზაფხულზე. სხვა დროს კი ისხდნენ აივნებზე ან ეზოში და უცქეროდნენ დაჟანგულ ღობეზე დახვეულ ბარდებს... მათთან ერთად უცქეროდა სლავიკაც და მუდამ უკმაყოფილოდ აქნევდა თავს. ერთხელაც კამფეტებთან ერთად ზუმფარები დაურიგა პატარებს და მიასია ღობეს გასაფხეკად. ისეთი ხალისით ფხეკდნენ ბავშვები, რომ ორჯერ გაუზარდა კამფეტის დოზა და როცა მორჩნენ, მერე ჩურჩხელებიც ჩამოურიგა.

დილაუთენია აახმაურა ფარეხის ჭიშკარი სლავამ და ძილი გაუქცია მეზობლებს, მაგრამ სლავა სლავა იყო და არავის არაფერი უთქვამს. ალბათ, საჩქარო შეკვეთა აქვსო და ხელი არავინ შეუშალა. დილით კი, როცა ეზოში გამოვიდნენ მეზობლები, დაინახეს, რომ ის ღობეები, რომლებიც გუშინ პატარებს გააფხეკინა, სულ რკინის ვარდებიანი ნაკეთებობებით შეემკო. ან როდის მოახვია ამდენი ვარდი, ან ასე როგორ მიამსგავსა მათი ეზოს ხვიარას, ვერავინ მიმხვდარიყო. მერე მთელი ორი დღე იდგნენ ბავშვები ფუნჯებით ხელში და დიდი მოწიწებით, ზოგი რკინის ვარდებს, ზოგიც ფოთლებსა და ტოტებს აფერადებდნენ...

არც ღობის გაფხეკის მერე აუნაზღაურა იმ ურჯულომ შრომის საფასური. – ღმერთი სამობითააო, – უთხრა და საღამოთი სადღაც წაიყვანა. ისეთი უკუნი ღამე იყო, თვალთან მიტანილი თითიც არ ჩანდა. ცხენები რაღაც შენობასთან შეაჩერა. ხელსაწყოები ჩამოაწყო და საფხეკი შეაჩეჩა. იმან ჩექმა ჩაიჩაჩა, მკლავები აიკაპიწა. ისეთი ბრაზი ჰქონდა ყელში მობჯენილი, მზად იყო ალიკაპი აეკრა მისთვის და მერე გულიანად მიებრეგვა. არ ვიცი, გუმანს მიუხვდა თუ რა იყო, უთხრა, – ტყუილად ნუ ფშვინავ, ახლა არ უნდა იმუშაო. ამ სახლში შევალთ, ღამეს გავათევთ და დილიდან საქმეს შეუდგები, კედლები კარგად უნდა ჩამოფხიკოო. ამასაც რომ მორჩები, გასამრჯელოს მიიღებ და დავიშლებითო. მანამდე კი, რაღაც კედელთან ჩაიმუხლა და ისე ეუბნება, – ეს ადგილი გაფხიკე, ნახე პირი ხომ არ მოუბლაგვდა შენს იარაღსო. სადაც ანიშნა, ის ადგილი მოფხიკა ამანაც და პრობლემა არა აქვსო, ანიშნა. რატომღაც სანთელს არ ანთებდა, სხვებსაც სძინავს და უხერხულიაო, – უჩურჩულა. იქვე საგანგებოდ დალაგებულ ქვეშაგებზე მიწვნენ. ამასაც რომ მორჩებიო, მოლაპარაკებულზე ორჯერ მეტი თანხა დაუსახელა, იმას მიიღებო, გაუპირდა.

გაიხარა მფხეკავმა. რა არ დაგეგმა დილამდე, თავისი საზღვრისპირა სოფლის საჭიროებებიც გაიხსენა და თავისიც ...

ცოტა არ იყოს გაუკვირდა მისი ხელგაშლილობა. არადა, ძალიან ხელმომჭირნე და ძუნწი ჩანდა ერთი შეხედვითო, – ფიქრობდა გულში.

გვიან ჩაეძინა.

როცა გაიღვიძა, თავზარი დაეცა, ტაძარში იწვა. შიშით მიმოიხედა აქეთ-იქით. მის სოფელში რუსების მიერ გავლებულ მავთულხლართს მიღმა დარჩენილი სალოცავი ამოიცნო. ბღავილი აღმოხდა, მუხლებზე დაცემულმა თავში ხელები წაიშინა და გაახსენდა, რომ გუშინ აქ რაღაც ჩამოაფხეკინეს კედლიდან. შიშით მიიხედა იქეთკენ. წმინდა გიორგის ფრესკის ქვეშ გველეშაპი გადაეფხიკა. სახე მოიხოკა სიმწრით. ხოხვა ხოხვით მივიდა ფრესკასთან და ჰაერში დარჩენილი შუბის ქვეშ მორჩილად დაწვა...

...შუადღით სალოცავის კარები ხმაურით შემოაღეს და როცა აუფხეკავი კედლები დაინახეს, „ჩორტ ევო, ტოუე პაბირიო,“ – დაიღრიალეს. ძირიდან ჯაჯგურით წამოაყენეს, ორივე მხრიდან ხელკავი გაუკეთეს და სამაჩაბლოს იზოლატორის გზას გაუყენეს.

იქ, მის გარდა, კიდევ ორი ქართველი იყო. ერთმანეთს უხალისოდ ახედ-დახედეს. ვერც კარგი უთხრეს ერთურთს და ვერც ცუდი, ისე, უსიტყვოდ გადაეჭვდნენ და, გაცნობის ნაცვლად, ორი სიტყვით აუხსნეს გარემოება. ჩვენც არ გადავფხიკეთ!

ფავლეა ღაბაღეა

თამარ გლურჯიძე

პირველი შეგრძნება იყო, რომ იღვიძებდა. ძილის სამყარო ხელს უშვებდა, თუმცა რაღაც მასში ჯერ ამისთვის მზად არ იყო. მთელი სხეული კბილის ტკივილივით ყრუდ სტკიოდა. თვალის გახელა სცადა და გაუჭირდა, თითქოს ქვიშა ჰქონდა თვალებში ჩაყრილი და რომც გაეხილა, ვერაფერს დაინახავდა. პირი გაშრობოდა. დაძახება უნდოდა, მაგრამ ხმას ვერ იღებდა, არ იცოდა, ვისთვის დაეძახა. შიშმა აიტანა, კონკრეტულად არაფრის, უბრალოდ შიშმა. გონება დაძაბა. როგორმე უნდა მიმხვდარიყო, სად იყო და გაეგო, რა ხდებოდა მის თავს. ოდნავ სციოდა. იგრძნო, რომ ლოგინში იწვა, უნდოდა საბანი კარგად დაეხურა, მაგრამ ხელებს ვერ გრძნობდა.

ასეთ მდგომარეობაში რაღაც დრო გავიდა. უცებ ძლიერი დამუხრუჭების ხმა ჩაესმა ყურში. მერე... მერე... თითქოს მანქანიანად ბზრიალ-ბზრიალით მიგორავდა დაბლა და დაბლა... გამოდის, რომ მანქანით სადღაც გადაიჩეხა და გადარჩა. ჩაეღიმა - ჯერ-ჯერობით გადარჩა. თვალების გახელა ისევ სცადა. ქვიშა ისევ ხელს უშლიდა. მართლა ქვიშაა თუ რა სჭირს?! ცოტა ხნით დაისვენა, გონების დაძაბვაც ღლიდა. და, უცებ, საზარელმა აზრმა სული და გული დაუსერა, საკუთარ სიცოცხლის დაკარგვის შიშზე ათიათასჯერ დიდმა შიშმა თავზარი დასცა – ვინმე ხომ არ დაიღუპა მის გამო?! ან... არა! ოღონდ ცოლ-შვილი არა! აირია, აწრიალდა და თვითონვე რომ შეძრა, ისეთი არაამქვეყნიური ღრიალი ამოუშვა სხეულიდან. თითქოს ამ ღრიალის ექოს გამოჰყვნენო, რამდენიმე ადამიანი სწრაფი ნაბიჯით შემოიჭრა მის სივრცეში. მიხვდა, რომ ექიმები იყვნენ. მოჩვენებებივით უხმაუროდ დაფუსფუსებდნენ, თავს დასტრიალებდნენ. მერე ერთმანეთში დაიწყეს საუბარი. სამედიცინო ტერმინოლოგია მისთვის გაუგებარი და ნაკლებად საინტერესო იყო, დანარჩენი ფრაზებიდან უნდოდა ამოეკითხა აზრი. როგორ არ ეცადა, მაგრამ ვერაფრით შეძლო ეკითხა, რაც ასე აწვალებდა. უცებ, თითქოს მიუხვდა სატკივარსო, ერთ-ერთმა ექიმმა მეორეს გადაულაპარაკა:

– კიდევ კარგი არავინ ეჯდა მანქანაში.

"არავინ ეჯდა! არავინ ეჯდა!" იმეორებდა გულში გადარეულივით და იგრძნო, ცრემლები როგორ წამოუვიდა და როგორ გაქრა ყველანაირი შიში. ერთ-ერთმა ექიმმა ცრემლები მოსწმინდა და ვერ მიხვდა მას უთხრა, თუ სხვა ექიმებს:

– გავალ, ცოლ-შვილს გავახარებ, უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გადარჩა. რა სასწაულია, ამ შობის დილას თავიდან დაიბადა.

მერე წამლებმა იმოქმედეს და იყო ტკივილის გაყუჩება და ძილი. ეს უკვე ბედნიერი ადამიანის ტკბილი და მშვიდი ძილი იყო.

ოვაწ-მოსილი მეცნიერის სიყვარულად

◀ დასაწყისი გვ. 1

ჟამი რომ არ თვლემს, წამი რომ
არ თვლემს,
ქარი რომ წეწავს წიგნებს და
დავთრებს,
უფრორე მეტი სიფხიზლე
გვმართებს“.

მესხეთში სოფელთა გალექსვა ტრადიციად იყო ქცეული. ამ გალექსვის დროს, ამა თუ იმ სოფლის ავი და კარგი წარმოჩინდებოდა ხოლმე. შოთა ლომსაძის დროს ეს იყო ცოცხალი პროცესი. ეს იყო ურთიერთობები სოფელთა და სოფლელთა შორის, ამიტომ ნიშანდობლივია ამ ტიპის სახე მის ლექსში.

„ხანდო, ხერთვისი, ხეოთი,
ალვის ხედ მოირხეოდი,
მნატრობდი ბალახად ქცევას,
ფეხებზე შემოგხვეოდი.“

ამავე რიგისაა სხვა ლექსებიც: *„ოშორა თუ შორია, ახაშენი ახლოა, ჩვენი პრეისტორია ბნელი სამოსახლოა.“*

პოეტისათვის, ისევე, როგორც მისი ყველა თანამედროვისათვის, სამშობლოზე შეყვარებული და დაფიქრებული ადამიანისათვის, განსაკუთრებული გულის ტკივილით ჩანდა ტაო-კლარჯეთში, საქართველოს ფარგლებს მიღმა დარჩენილი საქართველო. დღეს, როდესაც ჩვენს კეთილ მეზობელთან, თურქეთთან საზღვარს გადავკვეთთ, შემოგვხვდება სოფელი, რომელსაც **თურქგეზა** ჰქვია. ეს ძველი ქართული სოფელი **ბადელაა**. მეზობლებმა ფოცხოვის ხეობის და, საერთოდ, არტაანის გუბერნიის სოფელთა აბსოლუტურ უმრავლესობას შეუცვალეს ქართული სახელები, რაზეც წინასწარმეტყველურად წერდა მე-20 საუკუნის 80-იან წლებში შოთა ლომსაძე.

„იქით ბადელა, აქეთ არალი, -
შუა გამწყდარი ჰარი - არალი.“

ეს სიტყვები ჩვენი თაობის ერთგვარ გზამკვლევად იქცა ქვეყნის ისტორიის აღქმის რთულ ლაბირინთებში. ბადელა იყო დასაკარგად განწირული, უცხოეთში დარჩენილი სახელი, რომელიც პოეტის მიერ ეგრერიგად გაჟღერდა და განსაკუთრებული დატვირთა შეიძინა:

„ისევ ბადელა, ისევ ბადელა,
ისევ იქაურ ქარმა დამბერა,
მატიანეთა ძველთა ფურცლებში,
გადამისროლა და დამაბერა.“
.....
„ჰოი, ბადელა, ჩემო ბადელა,
ნუ მკითხავთ ასე რამ დამაბერა.“

მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი მესხეთში საზის და აშუღების პერიოდი იყო. აშუღური პოეზია ქართული პოეზიის და განსაკუთრებით მესხეთში ხალხურ მოტივზე შექმნილი ლექსებით, ჩვენი კულტურის ნაწილია. აშუღური პოეზია ძირითადად თურქულ ენაზე იქმნებოდა, მაგრამ მას ქართლადაც მღეროდნენ. ქორწილებსა თუ დღეობებში გაორებული იყო ქართველი კაცი, რა ენაზე ეთქვა სიმღერა თუ ლექსი, იმდენად მაღალი დონითა და მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით გამოირჩეოდნენ აშუღები.

ცნობილი აშუღები ხალხის უსაყვარლესი პოეტებიც იყვნენ. ერთი მათგანი არის სწორედ **შივღა ბერიძე,** რომელიც ცნობილი მომღერალი და მოპაექრე იყო. მას არაერთი საზი მოუგია მოწინააღმდეგესთან პაექრობაში. შივღა ქმნიდა სიმღერებს თურქულად და ქართულად. შივღას შემოქმედებაზე იზრდებოდა მთელი მესხეთი. შოთა ლომსაძე განსაკუთრებულ პატივს სცემდა შივღას, როგორც ხელოვანს, როგორც პიროვნებას, როგორც ქართველ კაცს. მან ლექსების ციკლი უძღვნა ამ შესანიშნავ პიროვნებას და მას **„შივღას სიზმრებით“** უწოდა. ეს ციკლი გამორჩეულია შოთა ლომსაძის პოეზიაში. მესხეთში მოღვაწე პოეტები ძნელად გადავიდნენ აშუღური პოეზიიდან კლასიკურ ქართულ ლექსზე, ამიტომაც ამ კუთხითაც ძალიან საინტერესოა ეს ციკლი. ციკლში შემავალი ლექსების მხოლოდ სათაურებიც კი შეგვიქმნის წარმოდგენას შივღას ტრაგიკულ ბედსა და ხელოვნებაზე. აი, ისინიც: „წმინდა ლექსი“, „ქარაგმები“, „მწუხრის ზარები“, „შივღას დარდები“, „გზებზე“, „ლამაზების გუნდი“, „საზები“, „შივღას გაქცევა სოფლიდან“, „შივღას სიკვდილი“, „ხის ჯვარი ანუ გზაჯვარედინი“, „შივღას სოფელში“.

შივღას პოეზიასთან და ცხოვრებასთან სიახლოვეს კარგად გამოხატავს შოთა ლომსაძის ლექსი „შივღას გაქცევა სოფლიდან“:

„იქნებ გსურდა ამ ორპირი მიწურით
შეგემწყვდია გულისთქმა...
საქართველო დაუმხია სიძულვილს,
საქართველო აღსდგა სიყვარულითა.

გაგრძელება მე-5 გვ. ▶



ოთარ რურუა

ჩვენია...

ისევ მეწვია მუზა და
შემომეწერა დარდიანს,
გორგასალს ვუქებ მუზარადს,
გმირობას – ცოტნე დადიანს.

ვლოცავ ბასიანს სოსლანის –
თამარის თანამეცხედრის,
სხვის მიწაში წევს მგოსანი –
რუსთველი – შვილი მესხეთის.

თუმც არამხოლოდ მესხეთის,
ის მთელი ქვეყნის შვილია,
რეკენ ზარები დღეს მცხეთის,
ამ მიწის გამოზრდილია...

არსაკიძეც და შორენაც,
მეფე გიორგიც, გირშელიც,
განვიცდი მათ განშორებას,
მხოლოდ სიმღერა მიშველის.

მსურს: არჩილ კერესელიძის
ვიმღერო „სვეტიცხოველი“,
მაოცებს ფერი ჩემი ცის,
წყალობას ღვთისგან მოველი.

შეგვერგოს სადილ - სამხარი,
ის მიყვარს, – რაც დაგვრჩენია,
ჩვენია ვარდისახარიც,
თარაშ ემხვარიც ჩვენია.

მე სიხარულის ცრემლებით
მოვრწყე ჩემივე მინდორი,
ვწერ სიამაყის შეგრძნებით,
მეამაყება დიდგორი.

გავჩნდი... შუბლზე მცხეს მირონი,
დამათვრეს საპოვნელათი,
ბედიაც მაქვს და ილორიც,
მაგრამ სულ სხვაა გელათი.

ვარ ისტორიის მქებელი,
მომფერებელი ვაზისა,
ამ ლექსში გამცოცხლებელი
ქუჯის და ფარნავაზისა.

ვიხსენებ გამსახურდიას,
კოსტავაც არ მავიწყდება,
ორთავე ნამსახურია,
არასდროს დამავიწყდება.

ასეა... ვამბობ სიმართლეს,
ტყუილის თქმაც არ მჩვევია,
ჩვენია ქვეყნის სინათლეც,
ეს საქართველოც ჩვენია!

დიდება გმირებს!

ჩემთვის გმირია ბერი თევდორე,
ვაქებ ცოტნეს და ბაგრატიონებს,
ვარ იმ გმირების თანამედროვე,
აფხაზეთში რომ მაგრად იომეს.

ჩემთვის გმირია მერაბ კოსტავა,
სამშობლოსათვის ნამსახურია,
ზვიადს მამულის მადლი მოსავდა,
ნათელში იყოს გამსახურდია.

ახლა შარტავაც უნდა ვახსენო
და მასთან ერთად გაბესკირიაც,
მათ სანთლებს ვუნთებ, სანამ ვარსებობ,
წყალობას შევსთხოვ: ნანას, მირიანს.

დედა ქეთევანს – კახთა დედოფალს
ვუქებ სიმტკიცეს, რწმენას, მოდგმასაც,
წრფელი მადლობა ყველა ეპოქას,
გუბაზს, ფარნავაზს, ვახტანგ გორგასალს.

მე მოწამეთას მიწაზე ვდგევარ,
სული ტრიალებს არგვეთელ ძმების,
მათ არ სჩვევიათ უკან დახევა
და ქარქაშებში ჩაგება ხმლების.

იყო შინდისი, ცხრა აპრილი და
იყო წლების წინ ბრძოლა ტამიშის,
დღეს ჩემშიც ცოცხლობს ყველა გმირი და
ქვეყნის სიყვარულს ვერვინ დამიშლის.

ფეხზე ვუდგები სამას არაგველს,
მარაბდის ველზე დაცემულ ცხრა ძმას,
დედა ღვთისმშობლის კალთა ჰფარავდეს
ამ საქართველოს – სალოცავ ტაძარს.

არ შემიძლია – მეც არ ვახსენო
სააკაძეთა გვარი, ბუნება,
ჩვენი ქვეყანა დღეს რომ არსებობს,
არის იმათი დამსახურებაც.

ქართველი თუ ხარ, არ გქონდეს შიში,
შეინარჩუნე შენი ზნეობა,
დღემდე მაოცებს მხარგრძელთა ჯიში,
ახალციხელთა მხიბლავს მხნეობა.

მტკივა ობლობა ვაჟას შვლის ნუკრის,
წყაროს წყალს ვასმევთ ქორბუდა ირმებს...
ვიდრე ჩაქრება თვალებში შუქი,
თავს ვხრი და ვამბობ: დიდება გმირებს!

მჭირს სიყვარული განუკურნელი

ტაო-კლარჯეთის მიწის სურნელი -
არის სურნელი საქართველოსი,
მჭირს სიყვარული განუკურნელი
ბაგრატიონთა სამფლობელოსი.

დღეს აღარ რეკენ ოშკის ზარები,
თუმც კვლავ აოცებს მნახველებს ოშკი,
თითქოს ყველა დღე არის ზმანების,
სიზმარში ვხედავ: ხუთჯვრიან დროშით

როგორ შევდივარ წმინდა ტაძარში
და როგორ მლოცავს გრიგოლ ხანძთელი,
ვხედავ დედოფალს ქართულ კაბაში
და მიხარია რომ ვარ ქართველი.

ჭოროხს გაღმაც ძგერს ქართული გული,
იმ ლაზისტანსაც ვლოცავ ბერივით,
შეინარჩუნეს ენა ქართული
ფერეიდნელი ქართველებივით.

მინდა ამიხდეს ყველა სიზმარი,
ცხადად ვიხილო ყველა ზმანება,
ვიდრე მასველებს ჩემი ცის ნამი,
იარები მაქვს სულში ბზარებად.

ტაო-კლარჯეთის მიწის სურნელი
არის სურნელი საქართველოსი,
მჭირს სიყვარული განუკურნელი
ბაგრატოვანთა სამფლობელოსი.

თუმც აღარ რეკენ ოშკის ზარები,
დღესაც აოცებს ოშკი მნახველებს,
გულით მიქებენ ლამაზმანები
დიდ წინაპართა უკვდავ სახელებს.

დედამ ფიალა ღვინით ამივსო,
მსურს ვნახო ერი გამარჯვებული,
ჩემი ფესვები სამარადისოდ
ამ მიწაშია დამარჯნებული.

ხარ საქართველო...

ხარ საქართველო... მადლით განგების,
რაც გაქვს, – მარტოდენ შენი განძია...
შენს სიყვარულში დავიდაგები
და მეყოლება მოწმედ ვარძია.

ხარ საქართველო... დედა რუსთველის,
მეფე თამარიც შენი შვილია,
ამქვეყნად ყველა შინმოუსვლელი
შენს სიყვარულში დაფერფლილია.

მინდა მნათობმა გზა გამინათოს,
აქ სულ პატარა ცრემლიც ჩემია,
მეძვირფასები, როგორც იყალთო,
როგორც გელათის აკადემია.

შენ რომ არ იყო, დედამიწაზე
არ ექნებოდა სიცოცხლეს ფასი...
და რა დღიდანაც გულით გიწამე,
ჩემთვის იმ დღიდან გახდი ძვირფასი.

რუსთაველიდან მოყოლებული
კვლავ იწოდები მგოსანთ საუფლოდ,
,,ვეფხისტყაოსნის“ წიგნით ქებული
შოთაის ენით ღმერთთან საუბრობ.

მე ვინ ვარ, მაგრამ მსურს ჩემიც გწამდეს,
მინდა კოცნებით კალთა აგივსო,
ჩემს პოეზიას, – ვითარცა ანდერძს,
შენვე გიტოვებ სამარადისოდ.

დედა

დედა! – უთბილეს ამ ერთ სიტყვაში
მთელი სამყარო ეტევა თითქოს,
ხარ პირნათელი შვილის წინაშე,
მინაწილებდი შენს კუთვნილ სითბოს.

ნეტავ იცოდე: მჭირდები როგორ
შენი ორივე ძუძუთი გაზრდილს,
მწამს: თუ ოდესმე მეყოლა გოგო,
არც ის შეარცხვენს მის ქართულ მანდილს.

ისე მაკლიხარ, ვით უსინათლოს
თვალისჩინი ან ობოლს – ნუგეში,
მინდა მნათობმა გზა გამინათოს
და თეთრი მტრედი მეჯდეს უბეში.

ვარქმევ ამ ლექსს იმ ერთადერთ სიტყვას,
რომლის წარმოთქმაც ხშირად მიწევდა...
იმისი ყველა სურათი მიყვარს,
ვინც თავის ხელით აკვანს მირწევდა.

ცრემლები მახრჩობს, ჩემი გამზრდელი
ზეცის მკვიდრია... მიიღო ღმერთმა,
დავდივარ მარტო, როგორც გრანელი
და როცა წავალ, ვიქნებით ერთად.

საქართველოს

ლექსებს ვუწერ საქართველოს,
სიზმრად ვხედავ ერთიანს!
ღმერთმა დიდხანს აჯანმრთელოს,
დედასავით ერთია!

მიყვარს ცოტნე დადიანი –
თაფლწასმული ქართველი,
მკერდქვეშ გული დარდიანი
ინვის, როგორც სანთელი.

აქ დავითის დიდგორია,
შამქორია თამარის,
ვიდრე ვცოცხლობ უფლის მადლით,
მწვავს ჩემი მზის არილი...
ვწევარ... მცხია ტანზე თაფლი
ცოტნე დადიანივით.

მეც ვეტრფოდი ერთ კარგ გოგოს,
ნეტავ კიდევ მაჩვენა!
მისი დარდი მტკივა, როგორც
მოკვეთილი მარჯვენა!

ვეფერები დედის სურათს,
ვით შორენა – თავის შველს...
გული შავად შენისლულა,
მიწაც არსად არ მიშვებს.

გაუმარჯოს საქართველოს,
სიზმრად ვხედავ ერთიანს!
ღვთისმშობელმა აჯანმრთელოს,
დედასავით ერთია!

მჯერა: ისევ ითამადებს,
დაზრდის ლომებს, ავაზებს,
იდავითებს, ითამარებს,
კიდეც იფარნავაზებს.

ღვთის ნათელი მოსავს ციდან,
ცხოვრობს რწმენით მომავლის...
ერი – ნადიდგორალი და
ერი – ნაშამქორალი!

საკრფიალო

ბევრი გოგონა დავკოცნე,
ბევრმაც დამკოცნა ჟინითა,
ვერც ვერასოდეს გავსტყორცნე
ჩერქეზის ისარივითა.

ისევ ამოდის ჩვენი მზე
ამ ქვეყნის ცაზე დილითა,
როცა თვალებში მე გიმზერ,
შენ მორცხვობ ყვავილივითა.

შენია ჩემი სამყარო,
მეც ვიწვი სანთელივითა,
მოვკვდები, მსურს დამაყარო
გულმკერდზე მიწა... ღვინითა

მითხარი შესანდობარი,
მახსენე ენით ტკბილითა...
და არ მოიკლა გთხოვ, თავი,
აკაკის გამზრდელივითა.

ბევრი გოგონა დავკოცნე,
ბევრმაც დამკოცნა ჟინითა,
ვერც ვერასოდეს გავსტყორცნე
ჩერქეზის ისარივითა.

ვიდრე ჩვენი მზეც ამოდის
სამშობლოს ცაზე დილითა,

ფოთის საკათედრო ტაძარი

ჩემთვის ჩვენი ისტორია
არის მუდამ მთავარი.

გულმხურვალე ვისმენ ლოცვებს,
მრევლსაც ვხედავ სევდიანს,
მჯერა: ისევ მოვილოცებთ
ქურმუხს, ილორს, ბედიას.

შორს არწივთა საბუდარს და
ვხედავ ჯიხვთა ქარაფებს..
მივალ ვაჟას ალუდასთან,
მთებს კაფიას ვაჯახებ!

ლექსით ვთვრები, გრძნობებს ვამხელ,
ეს არ არის არაკი...
მართალს ვამბობ, მსურს მეც გავხდე
შეწირული ზვარაკი!

ყვავილს გადარებ სამოთხის,
მორცხვობ იმ ყვავილივითა.

ცის ვარსკვლავივით კაშკაშებ,
ხარობ მოყვასის ლხინითა,
სუნთქვას გვიჩერებ ვაჟკაცებს,
გვჭირდები ჰაერივითა.

საამო სამზერ მაგ სახეს
ნუ შეიღებავ ინითა,
როს ვესტუმრები საწნახელს,
დაგლოცავ თეთრი ღვინითა.

მე ცუდს არაფერს არა გთხოვ,
დამატკბე ბადაგივითა,
„შენთანამც ყოფნით გამაძღო,
შენთანამც წოლა-ძილითა“.

ერთგაქაქდ ნაფიქრი

(მინიატურები მომავალი წიგნიდან)

გიორგი გოგოლაშვილი
თამაზ ხმალაძე

რატომ აღარ კლავს არზაყანი მამას?

1936 წლის 23 ოქტომბერს მწერალთა კავშირში გაიმართა საჯარო განხილვა კონსტანტინე გამსახურდიას რომანისა „მთვარის მოტაცება“.

მიხეილ ჯავახიშვილს, სხვათაშორის, ერთი საინტერესო შენიშვნა მიუცია ავტორისათვის:

„როცა „მთვარის მოტაცების“ ნამდვილ გმირებს გაეცნობით, დარწმუნდებით, რომ კ. გამსახურდია ფრესკების მაგვარი სახეების მხატვარია. ის ფაქტი, რომ ავტორს წინასწარ მოფიქრებული არ ჰყავდა გმირები და გაზომილი არა ჰქონდა მათი მოქმედება, თავს იჩენს მესამე წიგნში, სადაც ამბის განსავითარებლად ავტორს ახალი გმირების გამოყვანა სჭირდება. ამას ყველაზე მეტად მამის მკვლელობის ფაქტი ამტკიცებს. ავტორს მამის მკვლელობა არც თავიდან, არც მეორე წიგნის დასასრულს განზრახული არ ქონდა, თორემ ის იმაზე ძალიან დიდ ამბავს დაატრიალებდა. კონფლიქტს მამა-შვილს შორის თავიდანვე წამოიყვანდა და ბოლოს სიკვდილით დაამთავრებდა. ახლა კი ასე არ არის, ამიტომ **მამის მკვლელობა დამაჯერებელ შთაბეჭდილებას ვერ სტოვებს**...“

ეს სერიოზული შენიშვნა იყო, ამიტომ გვერდს ვერ აუვლიდა ამას კ. გამსახურდია და თავის გამოსვლაში განუმარტავს:

„**ნუთუ მე ისეთ შლეგი ვარ, საქართველოს**

კომკავშირის ორგანიზაციაში ათი ათასი კაცია გაერთიანებული და არზაყანი მამის მკვლელად გამოვიყვანო. ნუთუ მე იმისთანა შლეგი ვარ, რომ ამით ქართველ კომკავშირლებს ვეუბნები – თქვენ ისეთი საზიზღრები ხართ, თქვენც ამას მიბაძეთო და სხვა...

როდესაც „მთვარის მოტაცებას“ ვწერდი, რომელიც დავიწყე 26 წელს და 31-მდე განუწყვეტლად ვაგროვებდი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ინვენტარს, მხოლოდ 1931-დან ვიმოგზაურე აფხაზეთში, აი, ამ მოგზაურობის დროს ვნახე, რომ ერთი მშვენიერი თეთრწვერა კაცი იწვა ურემზე და მოყვებოდა ერთი ახალგაზრდა კაცი: **„ვკითხე ვინ მოჰკლა-მეთქი ეს კაცი? მიპასუხა – შვილმა მოჰკლაო. იმ მომენტში ჩემს თავში იკვანძებოდა ნასკვი და ამან მიბიძგა კიდევაც**“...

ასეთი განმარტების დამაჯერებლობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩანს, თავად მიხეილ ჯავახიშვილის მიერ ამ საკითხის დასმა სპონტანურად არ მომხდარა; მას ამ თემაზე (შვილის მიერ მამის მოკვლა) ადრეც უფიქრია...

1925 წელს მ. ჯავახიშვილს ბლოკნოტში ასეთი „თემა“ ჩაუნიშნავს:

„თემა: შვილი კომკავშირელი. მამა მორწმუნე, ტრადიციის კაცი. შვილმა სამხედრო ტაძრის ეზოში ქართველი პატრიოტების საფლავები გაასწორა. ეკლესიას ჯვარი მოხსნა. ჩამოვარდა. ანაფორა ჩაიცვა და ანტირელიგიურ პროცესიაში დადიოდა, როგორც მასხარა.

აგვისტოს აჯანყებაში თოფით ებრძოდა. კათალიკოზის გასამართლების დროს ნაძალადევში დადიოდა და დახვრეტას მოითხოვდა. ამ ნიადაგზე ოჯახში შხამი დაგუბდა. მამამ გააგდო. მამა ჩეკაში დააბეზღა. დაიჭირეს. შვილი გასალახანდა. გამოვიდა. რუსმა საყვარელმაც ზურგი შეაქცია. სხვებმაც არ მიიღეს. დედამ გამოაგდო. ბოლოს თავი ჩამოიხრჩო“.

ამ ჩანაწერის ავტორის მიერ ისეთი შენიშვნის მიცემა კ. გამსახურდიასათვის სრულიად ბუნებრივია...

განხილვაზე გამოსულ კონსტანტინე გამსახურდიას ესეც უთქვამს: „არზაყანის ხასიათში მე მაქვს გადაჭარბება, რომელსაც, თუ მოვახერხე, **გამოვასწორებ შემდეგ გამოცემებშიო“...**

მოგეხსენებათ, შემდეგ გამოცემაში ეს ეპიზოდი ამოღებულია: კაც ზვამბაიას ტარბები კლავენ...

მოგვიანებით, კ. გამსახურდიას შემოქმედების მკვლევარები ამტკიცებდნენ, რომ კომუნისტი შვილის მიერ მამის მკვლელობა მწერალს საბჭოთა ცენზურამ შეაცვლევინაო (კომუნისტს ასეთი რამ როგორ შეიძლება ჩაედინაო)... და ანალოგისათვის ლ. ქიაჩელის „ჰაკი აძბას“ ასახელებენ...

უფრო დამაჯერებლად მიგვაჩნია ის აზრი, რომ კ. გამსახურდიამ მ. ჯავახიშვილის არგუმენტირებულ შენიშვნას გაუწია ანგარიში...

საზომად საკუთარი სიდიდისა...

მიხეილ ჯავახიშვილის ჩანაწერები („უბის წიგნაკიდან – 1924-1935“, თბილისი, 2005 წ.) მრავალმხრივ საინტერესო წიგნია. ამის თაობაზე თქმულა და ითქმება კიდევ.

ჩვენ ამ ჩანაწერებიდან ამჯერად ერთ საკითხს მივაქცევთ ყურადღებას – მწერლის დამოკიდებულებას თავისი კოლეგებისადმი.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით შთამბეჭდავად გამოიყურება გრიგოლ რობაქიძესთან ურთიერთობა.

ასეა: ჩანაწერებში ქართველ მწერალთაგან ყველაზე ხშირად სწორედ გრიგოლ რობაქიძეს მოიხსენიებს; მასთან ახლო ურთიერთობაზე მიანიშნებს.

არის ასეთი ჩანაწერები: „ჩემი წიგნები აქვს რობაქიძეს“...

„გლეხური სახელების სია. იხ. „ნიამორებში“ გრ. რობაქიძის წერილში“ და სხვა...

ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია იმ ჩანაწერებმა, რომლებშიც მ. ჯავახიშვილი ეტოქება, „ეჯიბრება“, ეტოლება გრიგოლ რობაქიძეს:

„რობაქიძე ევროპიდან გამარჯვებული მოდის საქართველოში: მე აქედან მივდივარ ევროპაში გამარჯვებული“.

„ორი ჯურის მწერალია, ერთი სიკვდილის შემდეგ იზრდება, მეორე – კლებულობს, მე პირველს ვეკუთვნი, რობაქიძე – მეორეს“.

„ამბობენ, რობაქიძე დიდი სტილისტიაო, და ამავე დროს სტენდალის ნათქვამსაც იზიარებენ: „საუკეთესო სტილი ის არის, რომელსაც ვერ ამჩნევეთო“. რობაქიძის სტილი კი მკითხველს თევზის ძვალივით აქვს სულში გახირული“.

„გრიგოლ რობაქიძის ფრაზა ხატოვანია, სავსე, მძიმე, მეტისმეტად მძიმე, ტემპი ფიცხი, ზოგჯერ გაჭიმული, სტილი მედიდური, ზავთური, მძიმედ დატვირთული, ალაგ-ალაგ არქაისტური. „სიმართლე უუძნელესი რამ არისო“ – ამბობს თვითონაც, მაგრამ მისთვის ვერ მიუღწევია“...

„გვარეულობის კულტს – „არჩიბალდ მეკეშს“ უნდა დაუპირისპირდეს შრომის, ენერგიის კულტი. „ჯავშნში“ აიწეროს ასეთი პარვენიუ, ამერიკული ტიპი: რიზა ხანი, მუსოლინი, ლენინი, ედისონი და სხვ.“

„პრობლემა: ნაკლია თუ სიკეთე ჩვენი ქედფიცხლობა? ნაკლია. რობაქიძეს და სხვებს კი რაინდობად მიაჩნიათ“.

„გრიგოლ რაბაქიძის ჩანგს ერთი სიმი აბია“.

რა ფიქრს აჩენს ეს ჩანაწერები?

ფაქტია, მიხეილ ჯავახიშვილი აფასებს და პატივს სცემს გრიგოლ რობაქიძეს; იგი მიაჩნია იმხანად ერთადერთ მწერლად, ვისთანაც შედარება – შეჯიბრება შეიძლება... ვისაც იმდროისათვის მიიჩნევს ყველაზე დიდ და ზუსტ საზომად საკუთარი სიდიდისა; მასთან შეიძლება პაექრობა;

მ. ჯავახიშვილისათვის გრ. რობაქიძესთან მეტოქეობა ღირსეული საქმეა.

ასეთი მეტოქეობა, ასეთი დახასიათება კოლეგისა საკუთარი თავისადმი შეძახილსაც ჰგავს: აბა, შენ იცი, უნდა აჯობო სხვას (ვთქვათ, გრ. რობაქიძეს)...

ეს იმასა ჰგავს, კონსტანტინე გამსახურდია რომ ამხნევებდა საკუთარ თავს, არ გაჯობონ დიდი მდინარეების ნაპირზე დაბადებულებმაო...

საკუთარ უპირატესობაზე საუბარი მ. ჯავახიშვილის მიერ არ არის თანამოკალმის დამცირება; პირიქით მისი სიდიდის აღიარებაა, მისი დაფასებაა...

გრიგოლ რობაქიძესთან მიხეილ ჯავახიშვილის დამოკიდებულებამ ერთ ფიქრსაც მისცა გასაქანი:

მ. ჯავახიშვილს აქვს რამდენიმე ჩანაწერი იმერეთისა და იმერლების თემაზე. ვთქვათ, ასეთი:

„იმერლები ბრწყინვალენი არიან, მაგრამ სიღრმე აკლიათ“ და მითანანი“...

ხომ არ არის მსგავსი ჩანაწერები „რობაქიძის ციკლიდან?“...

წინასწარმეტყველება თუ ლოგიკური დასკვნა?

ისევ მიხეილ ჯავახიშვილის ჩანაწერებიდან („უბის წიგნაკიდან. 1924-1935):

მწერალს 1931-1932 წლებით დათარიღებულ ბლოკნოტში ჩაუწერია: „მწერალთა სახლში ორი მამულიშვილის სურათი ეკიდა. ერთი მათგანი – დ. ყიფიანი – რუსებმა მოჰკლეს, მეორეს კი – დიდ ილიას – ქართველებმა გაუხვრიტეს შუბლი. ბოლშევიკებს ძილს უფრთხობდათ. ყიფიანის სურათი ქურდულად გააპარეს, ილიას კი ჯერ ერიდებიან, მაგრამ მისი დროც დადგება“...

ჩვენს ახალგაზრდობაში მწერალთა სახლის ცნობილ დარბაზში ერთ მხარეს ილიას სურათი ეკიდა და მეორე მხარეს – აკაკისა (დ. ყიფიანი აკაკი წერეთლით ჩაუნაცვლებია ვიღაცას)...

აკი იწინასწარმეტყველა მიხეილ ჯავახიშვილმა: „მისი (ილიასი) დროც დადგებაო“... დამდგარა კიდეც და ილიას აკაკიც მიაყოლეს...

როცა იკითხეს, სად წავიდა სურათებიო, „გულწრფელად“ განუმარტეს ცნობისმოყვარეს: სურათები მწერალთა სახლის მუზეუმში გადავიტანეთ, იქ უფრო უსაფრთხოდ იქნებაო...

არა, არ უხუმრია, სერიოზული სახით უთქვამს მოპასუხეს...

ამბავს ამბავი მიება:

განათლების სამინისტროს შესასვლელში, ფოიეში, ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის სურათები ეკიდა...

ერთხელაც იაკობი ცალად დაგვხვდა და ერთ-ერთმა ჩვენგანმა განათლების იმჟამინდელ მინისტრს (ა. ჯეჯელავას) ჰკითხა შეხვედრაზე, სად წავიდაო ილიას სურათი...

მინისტრმა გაიცინა და თქვა, ძალიან მიყვარს ილია ჭავჭავაძე და ჩემს კაბინეტში გადავიტანეო (?!)...

კარგა ხანს ეკიდა იაკობის სურათი ეულად... მერე ისიც გაქრა... ახლა იმდროინდელ მინიტრს (მ. ჩხენკელს) ვკითხეთ, რა ხდებაო...

გაირკვა: რემონტის დროს ჩამოხსნეს და... თურმე ვეღარ მოიძიეს მერე...

რა ხდება? მიხეილ ჯავახიშვილის წინასწარმეტყველებას რა საფუძველი ჰქონდა? ვინ და რატომ ებრძვის მამულიშვილთა სურათებს?

ამ კითხვამ ილია ჭავჭავაძის შეგონება გაგვახსენა, ილია დავით აღმაშენებელზე საუბრობდა:

„ჩვენთვის, ადამიანებისათვის, საჭიროა იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვით და მისი მაგალითით შევიძლოთ საკუთარი ხასიათის გაწვრთნა და განმტკიცება. ო, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვრწვთნის ჩვენ, არამედ თავისი სახელის ხსენებითაცო“.

სურათი გახსენებაა მამულიშვილისა; ხსენებაა მათი სახელების... ჰოდა, არის კი საჭირო ახლა ჩვენი „ხასიათისა და სულის გაწვრთნა და განმტკიცება?“

არაო, – ასე ფიქრობს ის, ვინც ებრძვის მამულიშვილთა სურათებს... ვინც არ უდგამს ძეგლს იაკობ გოგებაშვილს... ვინც... ვინც... ვინც...

მიხეილ ჯავახიშვილს ლოგიკური დასკვნა გაუკეთებია...

ქართული „ენამახვილობა“?

მიხეილ ჯავახიშვილი დემნა შენგელაიას „ბათა ქექიას“ შესახებ წერს:

„სხვადასხვა ეპიზოდები დემნას მართლა შესანიშნავად, მშვენივრად, მოხდენილად აქვს დაწერილი.

აი, მაგალითად: ბათას რომ ისტუმრებენ ტფილისში, ბათას მაჭანკლები რომ დასდევენ და თავის დახრრობა რომ უნდა. ბათას და დანელიას საუბარი. **ორივემ იცის, რომ ერთმანეთს ატყუებენ, და მაინც ატყუებენ. ფრანგები ამაზე ამბობენ („ესპრი ფრანსე“). ფრანგული ენამახვილობაა და ბათას შესახებაც შეიძლება ითქვას, რომ მას მეგრული ენამახვილობა აქვს (ესპრი მეგრელიენ)**.“

ჩვენ კი ის გვინდა ვთქვათ, ქართულია ეს „ენამახვილობა“, ზოგადქართული:

ლუარსაბი დარეჯანს თავისი „გმირობის“ ამბავს უყვება:

„ხომ გახსოვს ის იმერელი? აი რომ მოვიდა, დადიანის „პოვერნია“ ვარო? „პოვერნია“ კი არა, – შენც არ მამიკვდე – ის ძალად გამოგზავნეს, იმერლებმა. აბა წადიო, კახეთში ერთი დევი კაცი არისო, ლუარსაბ თათქარიძე, ოღონდ ის კი დაგვითვრეო და ნახევარ იმერეთს შენ მოგცემთო. ეხლა იმან მე რომ დამინახა, მაშინვე მიხვდა, რა კაციცა ვარ, იმიტომ „პოვერნიობა“ დაირქვა, სახელი არ წამიხდესო: კვეხნაში კი ნუ ჩამომართმევ და ჩემი სახელი სათათრემდინ არის გავარდნილი, იმერეთშიაც მისულა ჩემი ქება. მაგრამ აი, ამ შენმა უხეირო ლუარსაბმა ასე გაგიხადე ის ფხიკიანი იმერელი, რომ, რომ... სულ ჩემი მზე ვაფიცინე. თითონვე თავის პირით მითხრა: ბაყბაყ-დევი ხარო. თითიც მომიკაკვა და ყურში ჩუმად ჩამჩურჩულა: სანაძლევო მოიგეო, ნახევარი იმერეთი შენი უნდა იყოსო. რომ მეჩივლა, რასაკვირველია, იმ ნახევარს გამოვიტანდი, მაგრამ ჩვენი მამა-პაპის მამულებიც მაშინ ისე ოხრადა გვრჩებოდა და იმე-

ღვაწლმოსილი მეცნიერის საიუბილეო

◀ დასაწყისი გვ. 1,2

შენც გიყვარდა და მეც მიყვარს
სხვაგვარად,
სიყვარული სიყვარულში გამთბარა.“

ამ ლექსში გადმოცემულია ის ტრაგიკული სიტუაცია, როდესაც „ავი ენით შეწუხებული, მყუდროებას მონატრებული“ შიოლა გაიქცა სოფლიდან და სადღაც ხევში დაიწყო მიწური სახლის შენება.

ქართველებს ადამიანების დაფასება არ გვეშლება. განსაკუთრებით ფასდება მათი ღვაწლი, ვინც თავის ქვეყანას ემსახურა და დღესაც ფასეულია მისი შრომა, მისი დანატოვარი, მისი საქმე. შიოლა მოკვდა, მაგრამ მისი პოეზია სიკვდილის შემდეგაც ცოცხლობდა და მას აფასებდა როგორც თანამედროვე, ისე მომავალი თაობა პოეტისა. სახეზეა „სიდიადის დაუდგმელი ძეგლები“, რასაც სიყვარული ჰქვია:

„სიყვარული ამად მრავლობს,
ლექსი ლექსად შთამომავლობს,
კაცმა კაცის იხაროს...
გაუმარჯოს ძველს და ახალს,
ამ სახლებს და იმ ნასახლარს,
სიდიადის დაუდგმელო ძეგლებო.“

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორი ძეგლი დგას: გრიგოლ ხანძთელისა და ივანე ჯავახიშვილის. ვფიქრობთ, არიან ადამიანები, რომელთა ძეგლებიც დაამშვენებდნენ ჩვენი უნივერსიტეტის ეზოს. ერთი მათგანი არის შოთა ლომსაძე. თავის დროზე იგი დიდი ემოციებით შეხვდა უნივერსიტეტის

ემირ ბურჯანაძე, შოთა ლომსაძე, ფატი ჯაფარიძე, ლეილა ბურჯანაძე

ლალი ჯავახიშვილი, იზოლდა ჩხარტიშვილი, შოთა ლომსაძე

შექმნას მესხეთში, ახალციხეში. ყოველთვის მხარში ედგა ახლად გახსნილ უმაღლეს სასწავლებელს, დიდი იმედი ჰქონდა ჩვენი მომავალი თაობისა, რომელმაც საჭიროა, რომ განსაკუთრებით დააფასოს დიდი წინაპრები. ამ დაფასების კარგი მაგალითი იქნება, სწორედ, ღვაწლმოსილი მეცნიერის ძეგლის დადგმა უნივერსიტეტის ეზოში.

ჩემთვის კიდევ უფრო სხვა დატვირთვა აქვს ბატონ შოთასთან ურთიერთობას, მეგობრობას. მისი გარდაცვალება არ ცვლის გარკვეულ დამოკიდებულებას. ჩემს სამეცნიერო თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში ხშირად მიფიქრია, რას იტყოდა ბატონი შოთა იმ ნაბიჯთან დაკავშირებით, რომლის გადადგმასაც დავაპირებ ხოლმე. განსაკუთრებით ფასეულია მისი წიგნის **„ჩემი სამართალი“** წარწერა, რომელსაც დიდი ხნის შემდეგ იუბილესთან დაკავშირებით ვაქვეყნებ:



←

რეთი რაღად მინდოდა?“

დარეჯანი ამ ამბის მოწმედ მოჰყავს და „მოწმეც“ ინტერესით უსმენს... ცხადია, იცის დარეჯანმა რა სიმართლეც არის ის, რა იყო და როგორ, მაგრამ უსმენს და ეთანხმება...

ბეკინასა და პლატონის საუბარი გახსოვთ („სამანიშვილის დედინაცვალიდან“)?

„ღმერთმა იცის და ყველაც ხედავს, რომ არა გჭირთ-რა: მიწაც საკმაოდ გაქვთ, თუ სხვაზე მეტი არა; წყალიც, სახლიც, კარიც... ტყეც და ველიც!... (ეს კი მეტი წამოსცდა ბეკინას – ტყე სრულიად არა ჰქონებია). **სამწუხარო რა გაქვთ?!**“

და ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. სხვა ეპიზოდში:

როცა შინაურობაშიც ლაპარაკს გააბამდა ბეკინა თავის გამოულეველ სარჩოზე, ღონიერ ლუკმაზე, მისი ერთადერთი ცოლშვილიანი ვაჟიშვილი პლატონი, თუმცა ტრაბახობად მიაჩნდა მოხუცებული მამის ასეთი სიტყვა, მაინც არას ეუბნებოდა საწინააღმდეგოს. პირჯვარის გამოსახვით იტყოდა ხოლმე“.

ჰყვება ტყუილს ბეკინა და იცის, რომ პლატონმა იცის, რომ ეს ტყუილია. მაინც ჰყვება ბეკინა... იცის პლატონმა, რომ ბეკინამ იცის ამ ამბის „სიმართლისა“ და მაინც ისმენს... როგორც მიხეილ ჯავახიშვილი იტყვის, ორივემ იცის, რომ ერთმანეთს ატყუებენ და მაინც ატყუებენ“. თავისთვის ეტყვის მხოლოდ, „ამაზედა გმადლობთ უფალო, ამაზედაც გმადლობთ უფალოო...

გრიგოლ რობაქიძემ ამგვარ საუბარს ტყუილს არ ეძახის, ეს „ფანტაზიაა თუ ფანტასტიკაო“... მიხეილ ჯავახიშვილმა კი ენამახვილობაო...

ჰოდა, ასე ვფიქრობთ ჩვენც. ეს ქართული „ენამახვილობაა“, ზოგადქართული...

ხუმრობს გალაკტიონი?

ერთ ჩანაწერში ანა კალანდაძე ამბობს: სამწუხარო ისაა, რომ გალაკტიონს პირადად არ ვიცნობდი... გალაკტიონის გარდაცვალების შემდეგ მას მიუძღვნა დიდებული ლექსი (რომელიც შალვა ნუცუბიძეს ისე მოსწონებია, რუსულად უთარგმნია და ხელნაწერი ანასთვის უჩუქებია). აი, ეს ლექსი:

„ლამაზი სული ქარით, ფოთლებით,
თვისი სიმშვიდით და შეშფოთებით,
ქლიავისა და ატმის ტოტებით
საგაზაფხულო მიწას შორდება...
და ზამბახები ჩუმი ეტლებით
და ბეთანიის ლურჯი იები,
ანგელოსები პერგამენტებით
ღრუბლებისაკენ მიაცილებენ“...
(ლექსი ხუთსტროფიანია)...

ქართველი მწერლები. 1934 წელი. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდიდან

2010 წელს „გალაკტიონოლოგიის“ X ტომში გამოქვეყნდა გალაკტიონ ტაბიძის უცნაური ჩანაწერი:

„საკვირველი იყო ის სენსაციები, რომელიც წინდაწინ მოუწყვეს ახალგაზრდა მწერალს ანა კალანდაძეს და ეს მაკვირვებს მით უფრო, რომ ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც იყო ილია, ვაჟა და სადაც არის გალაკტიონი“

დიახ, უცნაური ჩანაწერია... კარგია, რომ ეს ჩანაწერი არ გამოაქვეყნეს ანას სიცოცხლეში... მაინც როგორ აღვიქვათ? სერიოზულად? ხუმრობად? თუ რამდენად სერიოზულია ეს, ამის თაობაზე იქვე გაკეთებული მეორე ჩანაწერი მეტყველებს; დავით კლდიაშვილის შესახებ წერს გალაკტიონი: **„დ. კლდიაშვილი სრულებით პოპულარული პოეტი არ არის. ერთ-ერთმა მასზე მხოლოდ ის თქვა: – თავადიშვილი იყო, ყმები ჰყავდა...**“

არ არის ეს იუმორით ნათქვამი, მაგრამ არც სერიოზულობაა... **უცნაურია –** მხოლოდ აი, ასე უნდა აღვიქვათ იქვე გაკეთებული ჩანაწერიც ანა კალანდაძის შესახებ...

ხოლო, როცა არ „ხუმრობს“ გალაკტიონი, როცა სერიოზულია, ასე ხედავს დავით კლდიაშვილს:

„როდესაც ხელთ ვიღებ დავით კლდიაშვილის წიგნს, არ შეიძლება არ გავიფიქრო: (არ დაგავიწყდეთ, პირველი ქართველი სახალხო მწერალი)“... იქვე განაგრძობს, „რომ დავით კლდიაშვილი არა, დაუხატველი დარჩებოდა მსოფლიო ლიტერატურაში სოლომონ მორბელაძე, ვერც ერთი მწერალი ვერ მოისაზრებდა გამოესახა ბეკინა და ერთადერთი მთელ შავიზღვისპირზე დარისპანი, რომელიც მოგზაურობს თავისი ურყევი მიზანით, მოგზაურობს თავისი ლაფჩინებით და „იმე, იმე„-თი, რომ დავით კლდიაშვილი არა, დაუხატველი დარჩებოდა კაროჟნა, მშვენიერზე მშვენიერი კაროჟნა, ნამდვილი სახე რევოლუციამდელი“... (ჩანაწერი აქ წყდება)...

დავით კლდიაშვილის შესახებ თქმულ უცნაურ „ხუმრობას“ კი აბათილებს ეს ჩანაწერი დავითის შესახებ, მაგრამ ანა კალანდაძეს რა ვუყოთ?

ეს გენიალური შეფასება დავით კლდიაშვილისა ანას უცნაური შეფასების ხუმრობად მიჩნევისთვისაც უნდა გამოვიყენოთ (ანუ: ხუმრობის ხასიათზე იყო იმ ჩანაწერის გაკეთებისას გალაკტიონი...).

კახაბერ ჯაყელი

ყოველთა მესხთა მისწრაფება ყოფილიყვნენ „ახალი ტრაპიზონის იმპერიის“, ანუ ბიზანტიის გაგრძელება ქრისტიანული სასულიერი ძეგლების მშენებლობასა და თავად მართლმადიდებლური ქრისტიანობის განმტკიცებაში, იმდენად ძლიერი იყო, რომ მან დაიპყრო არამარტო სამცხე, ჯავახეთი, კოლა, არტაანი და აჭარა - ჭანეთითურთ, კლარჯეთი თუ სპერი, ნიგალის ხევი, შავშეთი თუ ანისის მიწები, არამედ სამეზობლო ტერიტორიები. გურიის სამთავროს სამცხე-საათაბაგოსთან მრავალი პოლიტიკური საკითხი აკავშირებდა. ათაბაგმა გურიას ძმობა გამოუცხადა და „მისცა ყვარყვარემ აჭარა და რომელნიმე ჭანეთის ადგილნი გურიელ კახაბერს, რათა მწე ექმნას ერისთავთა ზედა სამცხისა და კლარჯეთისათა. ხოლო გურიელმა კახაბერ სიხარულით მიიღო ქვეყანანი“ - ასე დაიწყო განსაკუთრებული ურთიერთობები მესხთა და გურულთა შორის.

გურიელები ვარდანისძეობას იტყოდნენ. მათი სამთავრო მართლაც მიუვალი და აუღებელი იყო მტერთათვის. ამიტომაც აქ მრავალ წარჩინებულს შესთავაზეს თავშესაფარი. ჯერ იყო და დაქცეული ტრაპეზუნის იმპერია დაიძრა გურიისაკენ. 1461 წელს, რაც ოსმალმა დამპყრობელმა იმპერიის მინისტრების ღალატით მიითვისა და უბრძოლველად ჩაიგდო ხელთ ბიზანტიის იმპერიის ბოლო ნამუსრევი – ტრაპეზუნტი, მრავალი ბერძენი გურიისკენ გამოეშურა. მათ შორის იყო ტრაპეზუნის იმპერატორის ერთ-ერთი შთამომავალი, რომელმაც გურიის სამთავროს შეაფარა თავი.

შემდგომ დაიძრა სამცხე-ჯავახეთში. ოსმალთა მიერ აოხრებულმა სამცხემ წმინდა ხატები გურიას გახიზნა და მესხურმა სულმა გურიაში დაივანა.

საიდანაც თეოლოგიური მსჯელობის შესახებ გამოდიოდა ხმები.

აი გამოჩნდა ათაბაგთა სამკვიდრო, ჯაყელთა ციხე, რომლის წინაც შედგნენ გურული მხედრები და უმაღლეს კოშკზე მოფრიალე სამცხე-საათაბაგოს დროშას მიაქციეს ყურადღება.

მესხთა ამირახორმა თავისი ხალხი მიაგება გურიის ელჩებს. სამრეკლოდან ზარის ხმა მოესმათ. დედოზარს ჰკრა მნათემ. გუგუნი გაისმა. ახალციხის ციხიდან ცაში არწივი ააფრინეს გურიელის კაცთა საპატივცემოდ



– ჩაიბუბუნა ათაბაგმა, მკერდამდე ჩამოშვებულ წვერზე ხელი ჩამოისვა და მეგობრულად შეხედა ნაკაშიძეს.

ხელმწიფევ-ათაბაგო, არ მიწყენთ უთუოდ და კბილი თუ გაწუხებთ, უმალ დაგეხმარებათ, იმისთანა წამალი ვიცი... - თქვა წამოწითლებულმა ნაკაშიძემ.

უკეთუ მკურნალი ხარ, თავადო, მაშინ მოგისმენ, მაგრამ თუ დესპანი ხარ ჩემი მეზობელი მთავრისა, მაშინ საქმეზე დავილაპარაკოთ ჯერ, – თქვა ქაიხოსრომ. ამ დროს კი თა ათონის მთაზე. ესეც აფიქრებდა დედისიმედს. მანუჩარ ჯაყელი, დედისიმედის მესამე შვილი, დაბადებული იყო პოლიტიკოსად. ის მუდამ ხლართავდა ინტრიგებს სასახლის კარზე. ფარულად გრძნობდა დედისიმედი, რომ მანუჩარი ოცნებობდა ძმების ჯობნას და ათაბაგთა მაღალ ტახტზე დაჯდომას. თავად სამცხე-საათაბაგოს ტახტი რომ ურთულესი იყო და მას სუსტი ვერ შებედავდა, ესეც კარგად იცოდა დედისიმედ მუხრანბატონმა და ამიტომაც ნერვიულად უყურებდა შვილებს, ფიქრობდა მათზე და ცდილობდა განეჭვრიტა ის ძლიერი და თამამი, უშიშარი და, ამავე დროს, პოლიტიკურად სხარტი ბატონიშვილი, რომელიც ამ ტახტისათვის ყველა ძალას მოიხმობდა, როგორც იტყვიან, მუმლს დაახრჩობდა და მუხას გადაარჩენდა. მაგრამ ვინ? ნეტავ ვინ იქნება ამგვარი ბრძენი, პოლიტიკოსი, მხნე სპასალარი, ორატორი და, რაც მთავარია, ისეთი კაი ყმა, როგორიც იყო თუნდაც ყვარყვარე დიდი, რომელმაც ასი წლისამ ოსმალოები დაამარცხა, მათ არზრუმი წაართვა და ყარსი დახარკა. აი ასეთი შვილი უნდოდა დედისიმედს, რომელიც ეხლა ლახვრად მოევლინებოდა მესხეთის მტრებს.

რაო დედოფალო-დედავ? თქვენ რას ჰბრძანებთ? – დიდი პატივისცემა მეუღლის მიმართ ჩააქსოვა თავის სიტყვებში ქაიხოსრო II ათაბაგმა და სიბრძნითა და სიმკაცრით განთქმულ დედისიმედს შეხედა, რომელსაც თანამედროვენი ხშირად „გლისპ დედისიმედსაც“ უწოდებდნენ.

გიორგი გურიელი არაკანონიერად არის გაძევებული საკუთარი ტახტიდან, დადიანის მიერ, მე ვიცი, ამგვარი ქმედება უფლისაგან დაგმობილია მუდამ. ისიც ვიცი, რაზეც მობრძანდით ახალციხეს, თავადო ნაკაშიძევ და, ამიტომაც, ეს ყოველივე ჩვენი საბჭო-საფიხვნოს საკამათოა. გთხოვთ გადმოგვეცით უსტარი ვახტანგ გურიელისა და მოვიფიქრებთ!

თამარ ჯაყელი – დედოფალი გურიისა და

მაგრამ ყოველი ერთი ისტორიით დაიწყო!

***

1583 წელს გიორგი გურიელზე განრისხებულმა დადიანმა გურიის მთავრად დააყენა ვახტანგი. გიორგი გურიელი კი გონიოს ციხეში გამაგრდა და თავის დროს დაელოდა სამთავროს დაბრუნებისათვის. ვახტანგი არ იყო პოლიტიკოსი, მას მშვიდი ცხოვრება სწყუროდა. დადიანმა შეამჩნია, რომ ვახტანგი სანდო და პირიანი კაცი იყო და ამიტომაც ამ მშვიდობაზე შეყვარებულ გურულს სარძლოდ სამცხის საათაბაგოს გამორჩეული ასული, მესხთა ქვეყნის ჭკუადამჯდარი, სულით-ხორცამდე ლოცვას მილტოლვილი, მშვენიერი ასული გამოუძებნა.

ახლად გამთავრებულ ვახტანგს, სამეგრელოს მმართველმა წრეებმა ურჩიეს სამცხე-საათაბაგოს მმართველებს დამოყვრებოდნენ.

***

ვახტანგის ელჩობა ახალციხეს მოულოდნელად ესტუმრა. გურულები, როგორც კი მიუახლოვდნენ ფუტკრის ბუდესავით მოფუსფუსე ქალაქს, იმწამსვე ახალციხური ცხოვრების გემო იგრძნეს და სიხარულისაგან უსწრაფესად ამოძრავდნენ.

ახალციხე იმ დროის არა მარტო საქართველოსი, არამედ მთელი კავკასიის უდიდესი ქალაქი გახლდათ. მოედინებოდნენ ქარავნები სპარსეთიდან. თვალისმომჭრელი სიმშვენიერით ელავდა ახალციხური ქამარ-ხანჯალი მესხი დიდებულების ტანზე. გურული ელჩები განსაკუთრებით დაიპყრო და დაიუნჯა უმაღლესმა ტაძრებმა ქალაქის ცენტრში. დედა-ციხის ქონგურებიდან ყელმაღალი, ვეებერთელა ეკლესიის გუმბათი გადმოჰყურებდა ქალაქს, თაღოვანი შენობები მიუთითებდნენ ბოლო სამი საუკუნის მშენებლობის საუცხოო ნიმუშებზე, რომლებიც დიდად დააზიანა თემურლენგის შემოსევებმა. გურულებს ამგვარი სიმდიდრე და მრავალფეროვნება არსად ენახათ, სპარსული ხალიჩების რიგებს რომ ჩაუარეს, სომეხი ვაჭრებიც შენიშნეს. სომხებს ინდური აბრეშუმი მოჰქონდათ სამყაროს დასალიერიდან. არ უყვარდათ გურულ ელჩებს ვაჭრები და მათ დანახვაზე გვარიანად წამოწითლდნენ. მიათვალიერ-მოათვალიერეს ბაზრები და უმალ ჯაყელების ციხისაკენ აიღეს გეზი.

ახალციხის რაბათში სიმშვიდესა და დარბაისლობას ეპოვა თავისი სამკვიდრებელი. გურულებს ძალიან მოეწონათ მესხთა საზოგადო დაფიქრებულობა და განსჯის სიღრმე. მეცნიერება, რწმენა, პოეზია, ფილოსოფია – აი რა აინტერესებდა იმ დროის მესხს. გურულებმა ახალციხეს სემინარიას ჰკიდეს თვალი, და კარები განახვნეს.

ბალახისფერ საბრძოლო სამოსში გამოწყობილი დახვდათ გურულებს სამცხის ათაბაგის გვარდია. ხელთ შუბ-ნაჯახნი ეპყრათ რჩეულიანებს. ქაიხოსრო ათაბაგის გვარდიის სარდალი ფრიდონ კოპაძე მიესალმა გურულებს, ისინიც მხარზე ეამბორნენ მესხთა სარდალს და ჯაყელთა ციხის მიღმა მდგარ ჩუქურთმებით მორთულ სასახლის დიდ აივანზე გამოფენილ სამცხე-საათაბაგოს წარჩინებულებს მოჰკრეს თვალი.

როდესაც გურიელის საგანგებო დესპანი მაჭუტა ნაკაშიძე სასახლის მისაღებ დარბაზში აღმოჩნდა, მის წინ, ვრცელი დერეფნის ბოლოში, სამცხის ათაბაგთა ტახტზე მჯდომი იხილა ათაბაგი ქაიხოსრო II ჯაყელი, მისი თანამეცხედრე დედოფალი – დედისიმედ მუხრანბატონი და მათ გარშემო აღმართული სამთავროს ბატონიშვილნი: ყვარყვარე, მზეჭაბუკ, მანუჩარ, თუალშუენიერ, ივანე, ელენე და თამარ ჯაყელები.

თავად სამცხის ათაბაგების ტახტით დაინტერესდა თავადი ნაკაშიძე, როგორც ადრე გაეგონა, იმგვარადვე შენიშნა. ათაბაგების ტახტი სხვა ტახტებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ იგი საკმაოდ განიერი იყო და საზურგეზე ათაბაგების ჰერალდიკა ამშვენებდა. ტახტი ეგრეთ წოდებული მამლობით გამოირჩეოდა. მასზე ასახული ორი გამოშვერილი ბუნი სწორედ იმას მიუთითებდა, რომ ტახტი ფალოსიანი იყო. „დედალი ვერ დაჯდება სამცხის ტახტზე, უთუოდ სხვაზე აღმატებული პატრონი, სიბრძნით, სიმხნით, სიმკაცრითა და სიჩაუქით დაჯდება ამ უძველეს საბრძანებელზე“ – ამბობდნენ მოყმენი.

თავადო, წარსდექით სამცხის ათაბაგის წინაშე და მოახსენეთ თქვენი მობრძანების მთავარი მიზეზი! – თქვა წითელწვერა მესტუმრეთუხუცესმა სულა ლასურისძემ, რომლის საგვარეულო თითქმის სამასი ნელი ერთგულად ემსახურებოდა ჯაყელებს და რომელთა საგვარეულო საძვალე, საფარაში, ათაბაგების სამარადისო განსასვენებლის გვერდით იყო განთავსებული.

მოგესალმებით ხელმწიფე - ათაბაგო, სამცხისა და ჯავახეთისა, შავშვეთისა და კლარჯეთისა, კოლასა და არტაანისა, ჰერცოგო ქარციხისა და მოქალაქევ ახალციხისა – დაიწყო მისალმება მაჭუტა ნაკაშიძემ, მაგრამ ქაიხოსრო ათაბაგს, რომელსაც კბილის ტკივილით გამოწვეული შუბლის ტეხვა აწუხებდა, როგორც ჩანს, კონვულსიებმა გადაუარა სახეზე და ამან უეცრად შეაყოვნა სხარტი გურული და „დაინდო“ ათაბაგი მისი ტიტულების ჩამოთვლისაგან.

გადავიდეთ საქმეზე, თავადო!, მომიტანეთ ჩემი მალამო, მოიყვანეთ თაყაი ჩემთან

თაყა მკურნალმა, ათაბაგს მალამოთი სავსე თასი მოართვა, ხელთ ფუნჯი იპყრო და ცალ მუხლზე დაჩოქილმა კბილებზე მალამოს წასმა დაუპირა ქაიხოსროს.

ვისაუბრებ მერე? იკითხა ქაიხოსრომ. პასუხად რაღაც ჩაილაპარაკა თაყა მკურნალმა და ათაბაგმა მკურნალს ნება მისცა, ემოქმედა, მაგრამ ისე რომ გურულების დელეგაცია არ გამორჩენოდა ყურადღებიდან.

ხელმწიფე ათაბაგო, სამცხე-საათაბაგოს მოვედით მე, თავადი მაჭუტა ნაკაშიძე და ჩემი მხლებელი, გურიის მთავრის – ვახტანგ გურიელის ბრძანებით, რომ....

როგორ, გიორგი გურიელი აღარაა ტახტზე გურიისა? – იკითხა ქაიხოსრომ გაკვირვებულმა და ნაკაშიძეს გადმოხედა.

ნაკაშიძემ კარგად იცოდა თუ როგორი მსტოვრები ჰყავდა ქაიხოსრო ათაბაგს გურიასა და მთელს საქართველოში, მაგრამ ასრე უპასუხა მასპინძელს:

უკვე ორი თვეა, გურიას ჰყავს ვახტანგ გურიელი, მთავარი გურიისა, აჭარისა და ჭანეთისა, ჩემი ბატონო.

სადაა ჩემი ძველი დოსტი, გიორგი გურიელი ამჟამად? – იკითხა ათაბაგმა.

მას შემდეგ რაც მუხრანის ბრძოლაში, დიდმა სიმონ მეფემ, დაამარცხა ოსმალთა ჯარი და ამ ჯარში, ოსმალთა მხარეს მებრძოლი გიორგი გურიელი, იგი უმალვე ტახტიდან იქნა მოცილებული – გადახედა თავის ელჩებს ნაკაშიძემ.

ყაბულს ვარ, მაგრამ სად არის ეხლა გიორგი გურიელი, თუ იცით?

არ ვიცი ათაბაგო, მაგრამ ამბობენ, რომ გონიოს ციხეშია შეხიზნული.

შავებში გამოწყობილი, დედისიმედ მუხრანბატონი, დედოფალი სამცხისა, გაუნძრევლად იჯდა. ეს მკაცრი და, ამავ დროს, მშვენიერი ქალი მდუმარე იყო, მაგრამ სინამდვილეში საგონებელში გახლდათ ჩავარდნილი. მას, განთლებითა და გონებით გამორჩეულ მუხრანბატონს, საფიქრალად ჰქონდა ბედი თავისი შვილებისა, ბედი ქმრისა და მომავალი მესხეთისა.

სულ მალე თვალმშვენიერი უზბეკებთან საომრად მიდიოდა ირანს. თვალმშვენიერს დიდ სამხედრო დიდებას უქადდა ოზბეგთა ტომების დაპატრონება და მათგან დიდი ალაფის აღება. მაგრამ, ვინ იცის, დაბრუნდებოდა კი 16 წლის თვალმშვენიერი მცირე აზიიდან? უფროსი შვილი, ფიზიკური ძალითა და მართლმადებლობით განთქმული ყვარყვარე, დედის სიამაყე იყო. დედისიმედის აზრით, სწორედ მისი ტახტზე დასმა და მმართველობა გამოადგებოდა ქვეყანას. მზეჭაბუკი კი უფრო სასულიერო ცხოვრებისაკენ იხრებოდა. მას, როგორც ამბობდნენ, ბერად უნდოდა აღკვეთა ათონის მთაზე.

– მკაცრად თქვა დედისიმედ მუხრანბატონმა, რომლის წინაც მესტუმრეთუხუცესმა დადო მაჭუტა ნაკაშიძეს მიერ ჩამოტანილი გრაგნილი გურიელისა.

დღესვე განვიხილოთ თუ რას იწერება გურიის მთავარი, თქვა ტახტიდან წამომდგარმა ქაიხოსრო ათაბაგმა და გურულებისათვის საგანგებოდ გაშლილ სუფრაზე შეუძღვა იგი მეზობელი სამთავროს ელჩს.

***

იმ საღამოს ქაიხოსრო ათაბაგი და მისი თანამეცხედრე დედისიმედ მუხრანბატონი საფარაში აბრძანდნენ და ბექას სასახლეში იბჭვეს მიმდგომებთან და მოკიდულებთან ერთად. ჯაყელებთან ერთად ამ ბჭობას შალიკაშილები, ლასურისძეები, თავდგირიძეები და კოპასძეებიც ესწრებოდნენ. მრავალი მწვავე საკითხი იყო განსახილველი. ირანი იძლეოდა ჯარს მომდგარი ოსმალეთის გასაგდებად. ოსმალეთიც იძლეოდა ლაშქარს ირანის დასაფრენად. მაგრამ, როგორც ოსმალნი, ისე ირანელნი მესხეთის გავლით ქართლში გადასვლას ლამობდნენ. ქართლი, კახეთი და იმერეთი ემზადებოდნენ მესხეთის დასაპყრობად. ათაბაგების მამულში მსტოვრები დაიარებოდნენ და ჯაყელთა გადაადგილების მიმართულებებს სწავლობდნენ. რამდენიმე ფარული ბარათი იქნა წაკითხული მსტოვრების მიმოწერისაგან და გაირკვა, რომ დიდ აჯანყებას ამზადებდნენ მესხეთში ოსმალები და მათ მრავალი მომხრე ჰყავდათ.

პირველი საკითხით დავიწყოთ, – თქვა გურულებთან ქეიფით შეზარხოშებულმა ქაიხოსრო II ათაბაგმა და ვახტანგ გურიელის უსტარი გადაიკითხა.

მე კი ვიცი, რაც უნდა, მაგრამ, კერძოდ, რას იწერება გურიელი? – იკითხა დედისიმედ დედოფალმა, მისთვის დამახასიათებელი შთამბეჭდავი ხმის ტემბრით, რომელიც ყრუსაც გამოაფხიზლებდა და დააფიქრებდა.

ჩვენი ქალის, ელენეს ხელს ითხოვს – ბრძანა საათაბაგოს ტახტის მემკვიდრემ, სპილოსავით დიდმა, ჰაეროვანმა, თეთრონივით ქათქათა ღაწვებისა და ლამაზი ტუჩების მქონე, ყვარყვარე III ჯაყელმა.

ვინ არის ვახტანგი? არის კი ნაღდი გურიელი? – იკითხა შავწვერიანმა ვარაზა შალიკაშვილმა, რომელსაც ფირუზის თვლებით შემკული ბიზანტიური სამოსი ეცვა, თითებზე ლალითა და ალმასით შემკული ბეჭდები ეკეთა და საგვარეულო სახლის შავ-მოლურჯო კვერთხს ეყრდნობოდა.

დადიანმა მოძებნა ეს კაცი, სწორედ მან აძგერა ლახვარი გიორგი გურიელს იმ ბრძოლაში, როცა გვერდზე ახლდა მას აქ რომაა,

ზარზმის სასწაუმოქმედი ხატის გადარჩენა

ის თავადი – მაჭუტა ნაკაშიძე. გურიელის მოკვლას ლამობდნენ, მაგრამ გაასწრო გიორგის ცხენმა ნასროლ ჰოროლს და გადარჩა გიორგი, რომელიც ეხლა უკვე კონსტანტინოპოლშია – თქვა მანუჩარ ჯაყელმა.

გიორგი გურიელს შეეშალა, იმიტომაცაა ეხლა დევნილი. მუხრანის ბრძოლაში არ უნდა წაჰყოლოდა ოსმალებს, არ ეგების მთავართ ოსმალებთან ლიცლიცი, – თქვა მზეჭაბუკმა.

ძლიერი მოკავშირეები გვჭირდება. იმათ უნდა მივათხოვოთ ჩვენი ასულები, ჩემო პატრონო. ელენეს გათხოვება არ შეიძლება, ავადაა. თამარი შევრთოთ ამ გურიელს – მკაცრად თქვა დედისიმედ მუხრანბატონმა.

ჩვენი მლოცველი და მარხულობით განთქმული თამარი, მონაზვნობაზე ფიქრობს – ჩაილაპარაკა მზეჭაბუკმა და დედას მიაპყრო დამძიმებული მზერა.

ისიც გვეყოფა, შენ რომ აპირებ ბერის ჩოხით საკუთარი თავის შემოსვას, შვილო – თქვა მკაცრად დედისიმედმა...

***

სულ მალე ვახტანგ გურიელმა ცხენი შეკაზმა, მაყრიონი მოამზადა და 600 კაცით გურიიდან ახალციხეში გადმოვიდა. მესხური მრავალჟამიერი გაისმა ქალაქის ქონგურებიდან. მაღალი ცა დაჰყურებდა სამცხე-საათაბაგოს დედაქალაქს. მაშხალებით ხელში მოდიოდნენ გურული მხედრები. თითოეულს ცხენი ვერცხლის აღკაზმულობით ჰყავდა მორთული. შესანიშნავი სანახაობით ტკბებოდნენ თამარ ჯაყელის მშობლები, დედმამიშვილები, ნათესავები, ახალციხის მკვიდრნი და მილეთის ხალხი.

დაახშვეთ კარნი – ბრძანა მესტუმრეთუხუცესმა ლასურისძემ. ქალაქის რვავე კარი დახშული იქნა.

ეხლა მიდი გურიელო და წაიყვანე შენი შავი თმები აიტალღა და გურულები „გადარია“.

ბიჭოს, აქ რა ხდება? პატარძალია ნამდვილად! – შესძახა ვახტანგ გურიელმა და გააჭენა ცხენი თამარისაკენ.

***

ვახტანგ გურიელისა და თამარ ჯაყელის ქორწინებას სულ მალე ოსმალთა გაუგონარი ძალის თარეში მოჰყვა საქართველოში. აკინჩებითა და იანჩარებით გაძლიერებულმა თურქთა საომარმა ძალამ აიღო არტანუჯი, ოლთისი და სამცხისაკენ გამოემართა. ქაიხოსრო ათაბაგმა ვერ შეძლო ველზე ოსმალთა შეკავება, დედისიმედ მუხრანბატონმა ოჯახი გახიზნა და თავად შვილიშვილებით მუხრანში დაბრუნდა!

ქვეყანა ომის ალმა მოიცვა. ყვარყვარე მესამე ჯაყელი ოქროს ციხეში შედგა სამასი აზნაურით და მამამისის ბრძანებების შესრულებას შეუდგა. ამ დროს ქაიხოსრო ათაბაგი ურაველზე დაბანაკებულ ოსმალთა, აკინჩების ცხენოსან ჯარს, თავს დაესხა და მტრის ჯარი მართალია დაავერანა, მაგრამ დიდი დანაკლისიც ჰპოვა. ოსმალთა თოფებს ვერ დაუდგა წინ ახალციხური ჯაჭვი. ურაველის მინდორი მოფენილი იყო ოსმალთა დახოცილი ცხენებით. ამან მეჰმედ ფაშა გააგულისა და ტყეების გადაწვა ბრძანა.

თურქები, როგორც ყოველთვის, საგანძურის ძიებას ეშურებდნენ და ამიტომაც ისინი რაზმებად დაიყვნენ და ცნობილი მონასტრების კენ, დაგეშილი ტურებივით გაჭენდნენ.

***

ქობლიანის წყლის ხეობაში მიმავალი ოსმალთა ცხენოსანი ჯარი ნისლში გაეხვა. ისინი ხელისცეცებით მიიკვლევდნენ გზას და ყოველ წამს გურჯების თავდასხმას მოელოდნენ, მაგრამ უცებ ნისლი გაიფანტა და მოვარდნილმა ბერებმა ოსმალთა ლაშქარი, რომ იხილეს, ხელი კირითხუროთა იარაღებს, წალდებს, ნაჯახებს, თოხებსა და ცულებს ჰკიდეს. მონასტრის წინამძღვარი, 80 წლის სერაფიონი წარსულში ცნობილი რაინდი იყო. წინამძღვარმა უეცრად შეჭურვა ბერები და შემოსეულ ოსმალოებს თავად შეუტია. იატაგანები გადაეჭდვნენ თოხებსა და ნიჩბებს, ოსმალთა ალებარდებმა იწვნიეს სასულიერო კაცთა მოქნეული წალდები და ნაჯახები. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა მონასტრის ულამაზეს ბაღში. სერაფიონი, როგორც სჩვეოდა ჭაბუკობაში, ისე გმირულად დატრიალდა ნიჩბით ხელში რომ, მრავალ ოსმალს მოაწყვიტა ხელ-ფეხი, ან თავი. მშვილდისრებით დაცხრილეს ბერები ოსმალთა მხედრებმა. ბერებმა „მამაო ჩვენოო“ დაიძახეს და ერთხმად შეაკვდნენ მტერს. რაც მთავარია, ფერისცვალების სასნაულმოქმედი ზარზმის ხატი არ გაატანეს ოსმალთ, თავადაც ტაძრის მისადგომებში ჩაწვნენ. ბერებისაგან შუბგაყრილი და შუაზე გაჩეხილი იანჩარები ტაძრის სიახლოვეს ბლომად ეყარნენ. ოსმალთა აღა ტაძრის წინ უსულოდ ეგდო. მას წინამძღვარმა სერაფიონმა აძგერა საბრძოლოდ შემართული ნიჩაბი. აღამ სიკვდილის წინ გველივით შხამიანი, დაკლაკნილი იატაგანი დაუსვა მონასტრის მამას და მონასტრის წინ უსულოდ ჩაიმუხლა.

სიკვდილს საოცრად გადარჩენილი სერგი ბერი, ოსმალთა აღას ხელში შერჩენილ ტყავის აბგას ართმევდა, რადგანაც ამ აბგაში მას სასწაულმოქმედი ხატი ეგულებოდა, რომლის წასაღებად იყვნენ ოსმალნი მოსული.

მოიქუფრა, გაწვიმდა, სისხლის გუბეები ტბებად იქცა, საოცარი სანახავი იყო ზარზმის ალისფერი მიდამოები.

***

ბერი უფალს დახმარებას სთხოვდა, დაზარზმასთან გურული ცხენოსნები გამოჩნდნენ, რომელსაც თავად ვახტანგ გურიელი სარდლობდა.

სიმამრის დასახმარებლად საჩქაროდ სამცხეში გადმოსული გურიელი, საუკეთესო აზნაურებისაგან შემდგარ ჯარს მოუძღვოდა. მაჭუტა ნაკაშიძე მარჯვენა ფრთაზე ედგა, მარცხენა ფლანგი ივანე გუგუნავასთვის ჰქონდა მინდობილი, აზნაური ბერის – წითლიძის რაზმი ქვაბლიანის ხეობით უტევდა ოსმალოებს, ხოლო მაქსიმეიშვილს ფრთოსანი ცხენოსნები მტკვრის ხეობისაკენ დაეძრა. ეხლა ზარზმისაკენ თავად ვახტანგ გურიელი მოჯირითობდა და თან მას ას კაცამდე ახლდა.

იცოცხლე ბერო! ჩაიმუხლა გურიის მთავარმა დაჩოქილი ბერის წინაშე და მის სისხლიან ჩოხას ხელი წაატანა.

ხატი, სასწაულმოქმედი ხატი გადაარჩინე, მთავარო, ამას გევედრები! – თქვა ბერმა და მთავრის ხელში სული დალია.

გადამწვარი ზარზმის დანახვისას ატირდა გურიის უშიშარი მთავარი, ბერები გავაპატიოსნოთო, – ასე უთხრა მაჭუტა ნაკაშიძეს და ცრემლის დასამალად მუზარადის ლითამი ჩამოიწია.

დაიღუპა ქვეყანა – ამოიკვნესა მაჭუტა ნაკაშიძემ და გარდაცვლილი ბერის ხელში ჩაბღუჯებული ტყავის აბგა გახსნა. უეცრად აბგიდან ნათელი ამოვიდა. ლითამიანი მთავარი ამ ნათელმა გააოგნა.

ზარზმის სასწაუმოქმედი ხატია, მაჭუტავ, გადარჩება ქვეყანა ღმერთით – აიტატა ხელში ვახტანგ გურიელმა აბგიდან ამოსვენებული ზარზმის სასწაუმოქმედი ხატება, ჩაიხუტა იგი გულში და მუხლებზე დავარდა.

***

ოსმალები ისევ მოტრიალდნენ, მეჰმედ ფაშამ ზარზმის ხატის მოტანა ბრძანა. კიდევ

ზარზმის ხატი. 886 წ.

ოსმალონი ზარზმის დიდებული მონასტრის წინ აღმოჩნდნენ. საბედნიეროდ, მნათე ბერმა უმალ თვალი მოჰკრა შემოსეულ ოსმალებს, ზარს ჩამოჰკრა. მონასტრიდან გაჩოქილი ლოცულობდა, გამოსაცოცხლებლად წვიმის წყალს სვამდა და ხმამაღლა გალობდა. „ღმერთო, დაგვეხმარე, უფალო გადაარჩინე შენი საუფლოო“, – ამბობდა სერგი, რომ

საცოლე – ახარხარდნენ ახალციხელები, მაგრამ გურიელი რისი გურული იყო, იმწამსვე ცხენიდან ჩამოხტა და ქალაქის კარიბჭეს მოუახლოვდა, უფალს მადლობა შესწირა და ცალ მუხლზე დაჩოქილმა ქალაქის მაღალ ქონგურებზე შემოწყობილ დამხვედრებს ახედა და ქუდი მოიხადა.

რისთვის ხარ მოსული? – ტრადიციისამებრ იკითხა მესტუმრე ლასურისძემ.

ბატონიშვილი თამარის ხელს ვითხოვ, მე გურიის მთავარი, ვახტანგ! – იყო პასუხი.

გაახვნეთ კარიბჭე და მივეგებოთ! – შესძახა სამცხის ათაბაგმა, იმწამსვე გაიღო დიდი კარიბჭე და მესხთა ცხენოსანი რაზმი გაეგება სტუმართა დასს.

ცხენბურთი ვითამაშოთ! – შესძახა საპატარძლოს ძმამ, ცხენოსნობაში განთქმულმა თვალმშვენიერმა ჯაყელმა.

ვითამაშოთ, „აქანა ვართ გურულნი“ – დაიძახა ვახტანგის მაყრის თავკაცმა, მობურთალებში ცნობილმა მაჭუტა ნაკაშიძემ.

თორმეტ-თორმეტი გამოდით და შევერკინოთ! – ბრძანა მანუჩარ ჯაყელმა და 24 მარდი ცხენოსანი ახალციხის კარიბჭის წინ, ვრცელ მინდორზე განლაგდა, მაშინ ბუკი აღმართა საათაბაგოს უფლისწულთა შორის უფროსმა, ყვარყვარე III ჯაყელმა და როდესაც ბუკის ხმა გაისმა, მხედრებმა დარახტეს ბედაურები ერთამენთის მიმართულებით, განსაკუთრებით მაშინ, როცა გალავნიდან მცირე ზომის ოქროს ბურთი ჩამოაგდო სამცხის მთავარმა ქაიხოსრომ.

მიდით, არ შევრცხვეთ გურულ მხედრებთან, ვინც „ოქროს ბურთს“ მოიგდებს და რაბათში აიტანს, მისია გამარჯვება, – შესძახა განთქმულმა მხედარმა, დარდიმანდ კოპაძემ და ცხენბურთი დაიწყო.

სილაღითა და სიკისკასით განთქმულმა გურულმა მხედრებმა უმალ აართვეს „ოქროს ბურთი“ მესხებს, მაგრამ ეხლა თვალმშვენიერი გაგულისდა, მოწითალო ბედაური ყალყზე შეაყენა და პირდაპირ იქ ისკუპა, სადაც ოციოდე ცხენ-კაცი ცდილობდა ბურთის დაუფლებას და თითქმის ბრმად ატრიალებდნენ ისინი თავიანთ გრძელ, წითელ ჩოგნებს.

თვალმშვენიერის და მისი წითლოსანის ნახტომმა შეანგრია ცხენ-კაცთა ტევრი და ათაბაგთა ნაშიერმა მოიგდო „ოქროს ბურთი“.

უზბეკთა ქვეყანაში არ წაიღო ეგ ბურთი, ძმაო, მე დამიტოვე! – შესძახა ერთმა მესხმა მხედარმა და თვალმშვენიერისაკენ გაექანა.

ყოჩაღ თამარ, მამის ცხენზე ამხედრებულმა ჩემი დამარცხებაც შესძელი – გვერდზე გაახტუნა ცხენი თვალმშვენიერმა და მამაკაცურად გადაცმულ საპატარძლოს „ოქროს ბურთი“ დაუთმო.

თამარმა ჩაჩქანი უკან გადაიგდო, მისი ერთი რაზმი იქნა გაგზავნილი აწყურის ხატის ხელში ჩასაგდებათ. აწყურის ციხე ძლიერ გამაგრებული დახვდა მტერს. მიახლოვებულ აკინჩებსა და ფეხოსან იანჩარებს აწყურის ციხემ თოფის სროლა უწყო და უკუაქცია.

ზარზმისაკენ გავწიოთ – შეჰყვირა ახმედაღამ და ხუთასი კაცი ქვაბლიანის ხევში შევარდა.

ამ დროს მაჭუტა და მისი გურულები ბერებს ასაფლავებდნენ. როდესაც ოსმალთა ახალი მარბიელი ჯარი შენიშნეს, გურულებს ხელთ, ჯერ კიდევ ბარები ეპყრათ და საფლავების ჭრაში იყვნენ.

დალახვროს წმინდა გიორგიმ, კიდევ მოტრიალდნენ ეს წყეულები, არცერთი ცოცხალი არ უნდა გავუშვათ, ან უნდა შევაკვდეთ მაჭუტავ! – იყვირა ვახტანგ გურიელმა და ცხენს მძიმე აბჯარით, სხარტად მოევლო.

გამხეცებული გურული აზნაურები თვალებიდან ცეცხლს ჰყრიდნენ, როცა ოსმალოებს მიუახლოვდნენ. თურქებს შორიდან ისინი არც თუ ისე საშიშ ძალად მიაჩნდათ, მაგრამ როცა პირდაპირ შეეჩეხნენ გურულთა პირსახეს, ისინი ძრწოლამ მოიცვა.

ასეა მუდამ ცხენოსან ბრძოლაში, ვინც გულით იბრძვის და დარწმუნებულია გამარჯვებაში, იგი იმარჯვებს. გურულები დარწმუნებულები იყვნენ, რომ იმდენ მოჭრილ თავს მოაგროვებდნენ ამ ბრძოლის შემდეგ, რამდენი ხელიც ჰქონდათ. ოსმალებმა იგრძნეს, რომ ჯობდა, დროზე მიეტრიალებინათ ნასუქი ცხენები და ამ ალაგს გასცლოდნენ, მაგრამ უკვე გვიანი იყო. გურული ცხენოსნები თავიანთ უნაგირებზე დაეკიდნენ და შემდეგ უნაგირის მეორე მხარეზე ამოსულებმა ისრები დააყარეს ოსმალებს, შემდეგ შუბებს წამოავლეს ხელი და პირდაპირ მიეჭრნენ წითელ თუღიან მხედრებს. ზოგმა გურულმა ოსმალო მხედრების უნაგირებზე იწყეს მოკალათება. ამ ილეთმა დამღუპველი შედეგი გამოიღო თურქებზე. გურულების ვერცერთ მხედრულ ილეთს თურქებმა ალღო ვერ აუღეს, ამიტომაც ცხენებიდან გადმოხტნენ და მდინარეს მისცეს თავი.

ბრძოლის ველზე დაჰქროდა ვახტანგ გურიელი, ყველა მიმართულებით იმარჯვებდა მისი სახელოვანი დავითფერული, რომელსაც ვახტანგის კაბიან ხმალსაც უწოდებდნენ თანამედროვენი.

შეტევა, მხოლოდ წინ! – ყვიროდნენ გურული მხედრები და მტერი დაქსაქსული გარბოდა სხვადასხვა მიმართულებით.

***

სამცხის ბრძოლები დროებით დამთავრ-

გაგრძელება გვ.10 ▶

„კიდევაც მიდგეს ვაჟასა, მთიური სისხლი მკერდშია!“

სოსო გიქოშვილი

„არ მიბობღია დაბლა ქვემძრომად,
მაღლა დავფრინავ, როგორც გავაზი,
ჩემს ტურფა მხარეს მკერდს დავაპურე
სიტყვა საგმირო, სიტყვა ლამაზი.“

ყველა დროის დიდი ჰუმანისტის, ვაჟა-ფშაველას გამოჩენა ქართულ მწერლობაში თავისთავად გულისხმობდა ეროვნული ლიტერატურის ახალი საფეხურის დაწყებას: „ალუდა ქეთელაურის,“ „სტუმარ მასპინძლისა“ და სხვა საოცარ თხზულებათა ავტორი შეიქმნა ერთ-ერთი უდიდესი ხელოვანი XIX ს-ის მიწურულისა და XX ს-ის დასაწყისის ქართულ (და არა მარტო ქართულ) სიტყვაკაზმულ მწერლობაში. ვაჟა-ფშაველამ, თავისი მოღვაწეობის ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში, დაახლოებით ოთხას ორმოცდაათზე მეტი ლირიკული ლექსი დაწერა, რომელთა უმრავლესობა წარმოადგენს პატრიოტული და სოციალური ხასიათის თხზულებებს. თავად პატრიოტული ნაკადის ერთი სოლიდური ნაწილი სოციალური და პოლიტიკური მოვლენების მხატვრულად გააზრებაა. ეს ფაქტი ძირითადად შეინიშნება XX საუკუნის პირველ ათწლეულში დაწერილი ლექსები. ამდენად, ჩვენი შეხედულებით, მსგავსი შინაარსისა თუ იდეური არსის ლექსები შეიძლება მივიჩნიოთ როგორც ე.წ. პოლიტიკური ლირიკის ნიმუშად. ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან და სხვა „თერგდალეულებთან“ ერთად ვაჟა - ფშაველამ ზემოხსენებულ ათწლეულში შექმნა იმ ეპოქისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური მოვლენების ამსახველი თხზულებები, როგორებიცაა „თხოვნა“, „ყარსის ბოლოს“, „დროება“, „მეომარი“, „ვის ჰქვიან კაცი?“ „ძღვენი“, „მეგობარს“ და ა.შ. ხსენებულ ლექსებში ნათლად იკვეთება მათი ავტორის პოლიტიკური შეხედულებები, არსებული რეალობის მკვეთრი კრიტიკა. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ვაჟა-ფშაველა ფაქტობრივად, იმეორებს უფროსი თაობის თანამოკალმეების თემატიკას. მართალია ჭაბუკობისდროინდელ ლექსებში ჯერ კიდევ სრულად არ იყო გაცხადებული მისი პოეტური სიდიადე, რაც სავსებით ლოგიკურია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ვაჟა-ფშაველა დაბეჯითებით მიისწრაფოდა ახალი მხატვრულ-გამომსახველობითი ფორმების ძიებისაკენ. ახალგაზრდა შემოქმედმა იმთავითვე კარგად იცოდა პოეზიის დანიშნულება, რომ მისი უპირველესი საზრუნავი იყო სამშობლოსა და ერის სამსახური, რომ მწერალი ცხოვრების შუაგულში უნდა ტრიალებდეს, მისი ავ-კარგით ცხოვრობდეს. რეალისტური აღქმა მოვლენებისა გახლავთ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი მეთოდის ორიენტირი. ამ თვალსაზრისით იგი ლიტერატურულ-მწიგნობრულ გავლენაზე უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებდა ხალხურ შემოქმედებას. მწერლის თქმით: „პოეზიას, საზოგადოდ, და უფრო კი ხალხურს, ერთი განსაკუთრებული თვისება აქვს: გამოხატვა, დასურათება თანამედროვე ცხოვრებისა, აწმყოს ჭირ-ვარამისა და ლხინგახარებისა. ზოგჯერ პოეზიას ეს თვისება აკლია: იგი თავის საკუთარ თვალთა ხედვას და ყურთა სმენას ახშობს, იმეორებს სხვისგან გაგონილის, სხვის *ჩანაგონარ* ჰანგსა.“ დღეს აღარაა სადავო ვაჟას პატრიოტიზმი, რომ ის იყო მუდამ სამშობლოს მოტრფიალე პოეტი, ჩაგრულთა მოსარჩლე, თავისი ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლი რაინდი. ასეთია მისი ლირიკა, პოემები, მოთხრობები და პუბლიცისტური წერილები, მაგრამ რაოდენ დასანანია, რომ ვაჟა-ფშაველას ხშირად უხდებოდა თავის დაცვა მისი შემოქმედების არაობიექტური შეფასების გამო. ასეთი უმართებულო, არასაკადრისი ვაიკრიტიკა პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი უფრო დიდი ილიას სიკვდილის (მკვლელობის) შემდეგ დაიწყო. ილია ჭავჭავაძე ყოველთვის მაღალი აზრის იყო ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე და ყველანაირად ხელს უწყობდა, აქებდა ნიჭიერ პოეტს მეტი ეწერა, მეტი ლექსები ჩამოეტანა „ივერიაში“. ილია რომ იმთავითვე ადიდებდა ვაჟას შემოქმედებას, ამაზე მრავალი მისი თანამედროვე მოგვითხრობს, მათ შორის კიტა აბაშიძე, იაკობ მანსვეტაშვილი, გიგა ყიფშიძე და სხვები. თავის მხრივ „კაი ყმის,“ ავტორმა კარგად იცოდა ილია ჭავჭავაძის გზით სიარული როდი იყო ადვილი, ვინაიდან იგი დაკავშირებული იყო დიდ თავგანწირვასთან. ეს გზა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ნარეკლიანი“ იყო, რომ მასზე „მრავლად ეყარა ეკალი“. სწორედ ასეთ ძნელად სავალ, ბარათაშვილის გაუკვალავ გზას ირჩევდა მგოსანი სამოღვაწეოდ. ცხოვრების ადვილი გზა უცხო იყო ვაჟას შეუდრეკელი სულისთვის, მისი შინაგანი ბუნებისათვის. ამიტომ იყო, რომ უფალს შესთხოვდა შველას, მფარველობას, რათა ძნელ გზაზე სიარული *შეძლებოდა*:

„ნუ დამასვენებ ნურა დროს,
მამყოფე შეძრწუნებული,
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,
როცა ვარ შეწუხებული.“

მკითხველისათვის საინტერესო აზრის შესაქმნელად საყურადღებო მასალას იძლევა პოეტის ფილოსოფიური აზრის გამომხატველი ლექსი. „დროება“, რომელშიც პირდაპირაა მხილებული ცხოვრების ავ-კარგი. ახალგაზრდა ვაჟა-ფშაველა უკმაყოფილებას გამოთქვამს დროის „დაუღლელად“, მაგრამ ფუჭად მდინარების გამო, დრო, რომელიც ადამიანის ცხოვრებას „დაუდგრომლად“ ატრიალებს. პოეტი, რომანტიკოსთა მსგავსად (თუნდაც ალექსანდრე ჭავჭავაძის), ეკითხება დროის მარადიულ ბრუნვას: „როდემდის უნდა ქვეყნის ბედი ათასფერად სცვალო, – ერთხელ კარგ საქმეს დენა შენი არ ანაცვალო?“ ჩემი თუ არ გჯერა, ეკითხება ისევ დროს: „თუ სარგებლობა კაცს მოუტანე?“ ვაჟა-ფშაველას 1882 წელს დაწერილი აქვს ოთხტაეპიანი ლექსი „როდის იქნება“. იგი კვლავ მშრომელი კაცის ბედზე დაფიქრებული ოცნებობდა ისეთ დროზე, როცა შესაძლებელი გახდებოდა დაჩაგრულის შემწეობა:

„როდის იქნება, შრომის შვილსა პირი
მოვბანოთ,
აღარა სწვამდეს ნაკადული ცხელის
ოფლისა,
შევძლოთ იმდენი – დაჩაგრულსა გული
ვუხაროთ...“

მდაბიოთა და ჩაგრულთა მფარველად გვევლინება ვაჟა-ფშაველა მთელი ცხოვრების განმავლობაში. უბრალო ადამიანების მომავლით დაინტერესება იმთავითვე იყო მისი დიდი მამაშვილური ვალის მოხდა. იგი, როგორც დიდი შემოქმედი, გვერდს ვერ უვლიდა ამ მოვალეობას. საზოგადოებას ჭეშმარიტ მწერლობაში ყოველთვის ხიბლავდა მაღალი მორალისა და მოქალაქის პიროვნება. ასევე ერთიანი იყო ვაჟა როგორც მწერალი და მოქალაქე არაერთ ლექსში. მაგალითად, ჭაბუკობის წლებში შექმნილი ლექსის „ვის ჰქვიან კაცნი?“ სტრიქონები ავტორის ნიჭიერებასთან ერთად, მის მაღალ ზნეობრივ სისპეტაკეზე მიუთითებენ. ლექსში გახმოვანებულ თემას ვაჟა-ფშაველა ბევრგან წარმოაჩენს არაერთ თეორიულ წერილში, მაგალითად იგივე აზრი უფრო გამჟღავნებული აქვს ლირიკულ თხზულებებში, თუნდაც იმავე ლექსში „ვის ჰქვიან კაცნი?“, რომელშიც ვკითხულობთ:

„კაცნი მას ჰქვიან, ვინაც სიცოცხლე
თვისი დალია მედგარ ბრძოლაში,
როგორც არწივმა ფრთით სცნო სიმაღლე,
არ გაერია ყვავთა გროვაში...“

ეს აზრი, პოეტის მიერ, როგორც აღვნიშნეთ, სხვადასხვა ლირიკულ თხზულებაშია წარმოდგენილი, თუმცა სოციალურ-პოლიტიკური ჟღერადობა მაინც ზემოაღნიშნულ ლექსში განაცხადა:

„კაცი მას ჰქვიან, ვინცა ძონძები
ტანზე ჩაიცვა და მით ამაყობს,
არ აწიოკა გლეხის ობლები,
დაუშრეტელად სიყვარულს გალობს!“

„ვის ჰქვიან კაცნი?“ ვაჟა-ფშაველამ 25 წლის ასაკში დაწერა. სიცოცხლის მიმწუხრს პოეტს ანალოგიური ორი ლექსი კვლავ შეუქმნია, ესენია: „ვინ არის კაცი?“ და „განა კაცია?“ თხზულებაში ავტორი კიცხავს უსწავლელ, ერისა თუ ქვეყნის მოღალატეებს, რომლებმაც თავიანთი ცხოვრება მხოლოდ პირად ინტერესებს გადააყოლეს. ასეთი უზნეო ადამიანები დიდად არცხვენენ საზოგადოებას:

„გადაამტერებს ერთმანეთს
ქართლსა, იმერეთს, კახეთსა,
საკუთარ ანბანს შეუდგენს
სამეგრელოს და სვანეთსა.“

ეს სტრიქონები ცხადად მიუთითებენ ქართველთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში გავრცელებულ ანტიხალხურ, მავნე პოლიტიკურ ტენდენციებზე, რომლებიც კუთხურობისა და დაპირისპირებისაკენ უბიძგებდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ქართველებს. ვაჟა-ფშაველას ასეთი ტიპის ლექსები მხატვრული ანარეკლია იმდროინდელი ნეგატიური მოვლენების, რომ ხალხში ფართოდ იყო გავრცელებული სხვადასხვა მანკიერებანი. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ამ თვალსაზრისით საყურადღებოა 1886 წელს გამოქვეყნებული ლექსი „სიმღერა“, რომელშიც პოეტი ეკამათება პირადი ინტერესებისთვის მებრძოლ ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ საზოგადოებისთვის საინტერესო პირებად წარმოჩნდნენ და დაუმსახურებლად მოექცნენ ყურადღების ცენტრში, გახდნენ ხალხის საყვარელი ადამიანები. თუმცა მათ ამისთვის საჭირო მორალური უფლება არ გააჩნდათ და არ შეეძლოთ კეთილი მსხვერპლის გაღება, მაინც ცდილობდნენ მოეპოვათ ხალხის პატივისცემა და აღიარება. ვაჟა-ფშაველასათვის, როგორც დიდი ხელოვანისათვის, იმთავითვე ცნობილი იყო თუ როგორ რთულ საქმეს ეჭიდებოდა, ამიტომ ყოველგვარი მოულოდნელი ბრძოლისთვის გამზადებული იტანდა ცხოვრებისეულ ტკივილებს. რწმენა საკუთარი იდეალების მიმართ მას აძლევდა სულიერ სიმტკიცეს, დაუფარავად, პირდაპირ ეთქვა სათქმელი ხალხისთვის, როგორც თავად შენიშნავდა – „ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვებისათვის.“ ასე ნელ-ნელა ემზადებოდა ახალგაზრდა პოეტი მომავალში მაღალი დანიშნულებისათვის საბრძოლველად. იგი ყოველთვის მიუთითებდა ცხოვრების საბოლოო მიზანზე. მართალია უკუღმართ წუთისოფელში უზნეო ადამიანები უფრო სარგებლობდნენ ცხოვრების სიკეთით, რომ მათ არ აწუხებდათ ხალხის ბედი და მხოლოდ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე აფასებდნენ, მაგრამ ვაჟა-ფშაველა მაინც დაუნდობლად ამხელდა „კაი ყმის“ უარმყოფლებს. საინტერესოა, რომ პოეტი თავის იდეურ მრწამსს მხოლოდ ლექსების ბოლო ტაეპში ამჟღავნებდა, წერდა თუ ვინ იყო დიდების ღირსი, ვის ეკუთვნოდა ხალხისაგან აღიარება და დაფასება. აი რას წერდა პოეტი:

„ერთი იცინის, სხვა ტირის,
ასეთი არის ქვეყანა,
ვისაც არ მოგწონთ ტირილი,
ის ნუ დაჯდება ჩემთანა,
.....
მაგრამ გავიგებთ ერთხელაც,
ვინ ახლო ვსდგებით ღმერთთანა.“

ანტიხალხური მოვლენებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება გამოამჟღავნა ამ სტრიქონების ავტორმა არა მარტო ლექსებში, არამედ მთელი მისი მხატვრულ-ლიტერატურული მემკვიდრეობა ეხმაურებოდა ჭეშმარიტების ძიებას. ვაჟა-ფშაველამ არაერთი იდეალური ადამიანის, „კაი ყმის“ სურათი შექმნა და თან ისე, რომ თითოეულ მათგანში თავად ლირიკოსის სახე იკვეთებოდა.

პოეზიაში ვაჟა-ფშაველა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სიტყვის ძალას, ენას, სიმართლის ქადაგებას. ამის საწყისს ჩვენ ვხედავთ პოეტის სიყმაწვილისდროინდელ ერთ-ერთ საინტერესო ლექსში – „წინასწარმეტყველი.“ შემდეგში ჩვენ ვხედავთ თუ როგორ მაღალ რანგში აიყვანა ვაჟამ სიტყვის ძალა, რომ სიტყვა იგივე საქმეა. მას ახარებდა, რომ მისმა „წვა-დაგვით გაზრდილმა სიტყვამ“ გაიხარა, „მეფესავით ოქროს ტახტზე დაბრძანებულა“ და „თვალისმომჭრელ სხივებს“ ბნელეთი გაუნათებია. პოეტი აღტაცებას ვერ მალავდა, რომ მისი მხატვრულ-პოეტური გენია მთელი სიდიადით ხალხში იყო მოფენილი. ამ აზრს იგი შესანიშნავად გადმოგვცემს 1894 წელს დაწერილ ლექსში „სიტყვა ეული:“

„სიტყვა გადვაგდე ერშია,
სიტყვა, რა სიტყვა? – ეული,
ტანჯულის გულით ნაცრემლი,
ვარმით ნაკვები, სნეული,
გულ-განგმირული, ბეჩავი,
თუ მანდილ-ჩამოხეული!“

ვაჟა-ფშაველას დიდ ჰუმანურობას, სულიერ სიდიადესა და მაღალ ადამიანობას მეტი შთაბეჭდილებით წარმოაჩენს ლექსი „ჩემი ვედრება“. აქაც ლექსის ავტორი, დიდი პოეტისათვის დამახასიათებელი ნიჭიერებით, ვედრების ფორმით, ცხოვრების აზრს გვანახვებს, თავის მიზანდასახულობას გადმოგვცემს. საერთოდ, ვედრების ფორმით მწერლის იდეალების გადმოცემა ახალი როდია ქართულ ლიტერატურაში, მაგრამ ვაჟა-ფშაველას მიერ ოსტატურად გამოყენებული ვედრების ფორმა მაინც განსხვავებულია:

„ღმერთო, მიიღე ვედრება,
ეს ჩემი სათხოვარია,
არ დამეკარგოს გულიდამ
მე შენი სახსოვარია!
გულს ნუ გამიტეხ ტანჯვაში,
მამყოფე შეუდრეკლადა,
ვფხიზლობდე, მუდამ მზად ვიყო,
დაჩაგრულების მცველადა...“

ქართველი მკითხველის გულისა და გონებისკენ გაიკვლია გზა ვაჟას მრავალმა პოეტურმა ქმნილებამ, რომლებშიც გაცხადებული იყო დიდი ადამიანისა და მოქალაქის ამაღელვებელი გრძნობები, ხალხისათვის მუდამ მზრუნველი შემოქმედის მორალურ-ზნეობრივი იდეალები. „ჩემი ვედრების“ ავტორის პიროვნებაში ღრმად იყო დამკვიდრებული სიკეთისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის იდუმალი ძალა, თხოვნა უზენაესისადმი, რომ მას ყოველთვის შესძლებოდა მოეხადა თავისი ვალი ერისა და ქვეყნის წინაშე:

„გონებას ფიქრი სტანჯავდეს,
გულს ცეცხლი სწვავდეს ძლიერი,
მშიოდ-მწყუროდეს კეთილი,
ვერ გავძღე, მოვკვდე მშიერი“.

ვაჟა-ფშაველა სრულიად სამართლიანად მიიჩნევდა, რომ მისი პოეზია (სიტყვა) მხოლოდ სიკეთეს ქადაგებდა: „მე არ უთხარე მოძმესა ორმო, მთხრელი შევმურე კუპრით და ლაფით“, რომ მისმა სიტყვებმა:

„უსულო საგნებს სული ჩავუდგი,
ავასაუბრე ლოდები კლდისა...
მადლი მფენია მარჯვენაზედა
იმ შემოქმედის, მაღალის ღვთისა!“..

– მთელი სიდიადით წარმოაჩინა იგი. ცნობილი კრიტიკოსი და ქართული ლიტერატურის დიდი მოამაგე აკაკი გაწერილია წერდა ვაჟა-ფშაველას შესახებ, რომ *„მისმა გამამხნევებელმა პოეზიამ უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი ხალხის ეროვნული გათვითცნობიერების საქმეში.“* ალბათ, არ არსებობს საღად მოაზროვნე ადამიანი, რომელიც არ დაეთანხმება აკ. გაწერილიას. „სტუმარ-მასპინძლის“ ავტორის ლიტერატურული მემკვიდრეობის ასეთ მართებულ შეფასებაში ლუკა რაზიკაშვილის პოეზია ზოგადად, და ცალკერძ, პოლიტიკური ელფერის ლექსები, მართლაც რომ ვერ თავსდება ჩვეულებრივ ჩარჩოებში, არამედ იგი უფრო მაღლა დგას, აშკარად განსხვავებულია სხვებისგან. ამიტომ იყო, რომ მას აკაკი *გაწერილიამ* სამართლიანად უწოდა ეპითეტური სახელი – „გამამხნევებელი“ პოეზია. ამ „გამამხნევებელი“ *(კვლავ* აკ. გაწერილიას *დავესესხებით; ს.გ.),* იმედის მომცემი პოეზიის ნიმუშები, რომლებშიც ნათლადაა წარმოჩენილი ეროვნული თუ სოციალური მნიშვნელობის საკვანძო საკითხები, შეგვიძლია პოლიტიკური ლირიკის მნიშვნელობითაც გავაცნობიეროთ. ამიტომ, რუსეთის მიერ დაპყრობილი ქართველი ხალხის ერთ-ერთი საუკეთესო შვილი, ვაჟა-ფშაველა ყოველგვარი უსამართლობისადმი დაუნდობელი სისასტიკის მქადაგებლად გვევლინება და თავის ლექსებს შეუპოვარი, მებრძოლი ხასიათის ტონზე წერს. ასეთია მისი ბევრი თხზულება, მათ შორისაა ლექსი „დამსეტყვე ცაო.“

„დამსეტყვე ცაო, დამსეტყვე,
აქა ვარ ჩემი თავითა,
გულითა გაუტეხელი,
მოუღალავი მკლავითა.
რაც უნდა ჭირი მამკერძო,
ბილწთ არ შევეკვრი ზავითა,
მცნებას ვერ შემაცვლევინებ,
მოზღვარებულის ავითა!“.

ვაჟა-ფშაველას დიდ პოეტურ გზაზე მსგავსი იდეური არსის ლექსები მართლაც რომ ბევრია. ჩვენ მხოლოდ ყურადღებას გავამახვილებთ ზოგიერთ მათგანზე, თუნდაც „ფშავლის სიმღერაზე“, რომელიც დიდი ემოციური ზემოქმედების, ეროვნული სულისკვეთებისაა:

„მკვდარი ნურავის გგონივართ,
გრძნობა მიხდილი ლეშია,
კიდევაც მიდგეს ვაჟასა,
მთიური სისხლი მკერდშია.“

მაღალი იდეალებით ნასაზრდოები ადამიანის განცდები ხშირად საფუძველი ხდება მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნისთვის. ამის შესახებ დიდ პოეტს არაერთხელ გაუმახვილებია ყურადღება თავის თეორიულ წერილებშიც: „მკითხველი, – წერდა ვაჟა, – მხოლოდ მაშინ ნამოიძახებს პოეტის ნაწარმოებზე – „რა კარგია, რა მშვენიერებაო“, როცა სურათი, რომელიც მან დახატა, ისეთ სულიერ ტკივილს აგრძნობინებს მწერალს, როგორც ფიზიკური ტკივილი გულისა, თავისა, მთიელის სხეულისა!“ ასეთი შინაგანი სულიერი ღელვითა და ნანახის განცდითაა დაწერილი ვაჟა-ფშაველას ბევრი პოეტური თხზულება, თუნდაც მოთხრობა, ან პოემა. გარდა ფაქტისა ან განცდილისა, ვაჟას, როგორც დიდ შემოქმედს, ხელეწიფებოდა ყველაფერი ახლებურად გაეაზრებინა და მეტი პოეტური ელფერი მიენიჭებინა. ამ კუთხით საყურადღებოა ლექსები: „ომის წინ ჯარის სიმღერა“, „სიზმარი ამირანისა“, „მთაო, შე შეუპოვარო,“ „მოხუცი რაინდის სიმღერა“ და მრავალი სხვა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სიკვდილამისჯილი ბავშვები

ნანა კევლიშვილი

მკვლელობის მრავალ სახეთა შორის მკითხველის ყურადღება მინდა მივაპყრო დაუბადებელი (ჩასახული) ბავშვის (ანუ ემბრიონის) მკვლელობას. უსუსური, უმწეო ბავშვის მკვლელობის საზარელ ცოდვას სამედიცინო ენაზე სრულიად უწყინარი სახელი ,,აბორტი“ ეწოდება და, სამწუხაროდ, დაკანონებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. აბორტი – დანაშაული ღვთის წინაშე, რომელმაც გვიქადაგა: **„არა კაც ჰკლა!“** ესაა არნახული მასშტაბის ბრძოლა საკუთარი შვილების, მომავალი თაობის წინააღმდეგ. ამიტომ, თავისთავად, ცხადია, რომ ქრისტეს წმიდა ეკლესია არასდროს არ შეიწყნარებს ბავშვის მკვლელობას. საშინელია იმის გააზრება, რომ 1989 წლისთვის საქართველოში გაკეთებულ აბორტთა რიცხვი შეადგენდა თითქმის 69 ათასს (!), რაც ყოველ 100 ჩასახულ ბავშვზე 45-ია, საბედნიეროდ, საეკლესიო ქადაგეგებით, 1998 წლისთვის ამ რიცხვმა 24 ათასამდე, ანუ 3-ჯერ იკლო *(იხ. ნ. ხომასურიძე, „აბორტი და მისი შედეგები“)*..

აბორტი ორსულობის ხელოვნურად ნაადრევი შეწყვეტაა. იგი ხორციელდება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში და დასაშვებია ორსულობიდან 12 კვირის ვადაში, სპეციალური მაჩვენებლებით 22 კვირამდე, ხოლო სამედიცინო მაჩვენებლებისა და ქალის თანხმობის შემთხვევაში – ორსულობის ვადის მიუხედავად.

2020 წელს საქართველოში 19039 აბორტი გაკეთდა, ხოლო 2024 წელს – 14 884. არაოფიციალური მონაცემი უცნობია და, ალბათ, გაცილებით მეტიც არის. *,,აბორტის მომხრე ის ხალხია, რომლებმაც დაბადება უკვე მოასწრეს“*-ო, ამბობდა **რეიგანი.** სხვათაშორის, მრავალი მეცნიერი, რომლებიც თავდაპირველად აბორტის მომხრენი იყვნენ, თანდათანობით, ხანგრძლივი გამოკვლევების შედეგად, მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ **ჩასახული ბავშვი არის ცოცხალი არსება, ჩვეულებრივი ადამიანი, ხოლო აბორტი – ადამიანის მკვლელობა.** ასეთ მეცნიერთა რიცხვს მიეკუთვნება ცნობილი ამერიკელი მეან-გინეკოლოგი, დოქტორი **ბერნარდ ნატანსონი.** სწორედ მან გადაიღო მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილი ფილმი **„უხმო ყვირილი“,** სადაც დაფიქსირებულია კადრები, რომლებიც სავსებით ადასტურებენ ემბრიონის სიცოცხლისუნარიანობას. დღესდღეობით, მედიცინას ძალუძს 25-კვირიან ნაადრევად დაბადებულ ბავშვს შეუნარჩუნოს სიცოცხლე. ეს ციფრი არცთუ დიდი ხნის წინ 30 კვირა იყო. მედიცინა ნახტომისებური ნაბიჯებით მიიწევს წინ. ხვალ შეიძლება ეს ციფრი უფრო შემცირდეს. ამის დასტურია ისიც, რომ მოხერხდა 19-კვირიანი **კენი კინგის** გადარჩენა (დაიბადა 1985 წ. აშშ-ში), რომელიც მხოლოდ 510 გრ. წონისა იყო.

მათეს სახარების მესამე თავში – **იესომ** მიუგო: *,,ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვინც არ დაიბადება წყლისა და სულისაგან, ვერ შევა ღმერთის სასუფეველში.“ ,,წინასწარი განზრახვით მუცელში ნაყოფის მომკვლელს კაცისკვლის სასჯელი ედება“, ,,ნაყოფის მოსაცილებლად შინაური წამლის მიმცემი არის მკვლელი, ისეთივე მკვლელი, როგორიც შხამის მიმღები“ (ბასილი დიდი, მე-2, მე-8 კანონი).*

მოკლედ შევეხოთ დაბადებამდე ჩანასახის განვითარებას. ხშირად, როდესაც აბორტის გამართლება სურთ, მიზეზად მოაქვთ ის ფაქტი, რომ ბავშვი დაბადებამდე არის დედის სხეულის ნაწილი და დედას უფლება აქვს თავის სხეულს ისე მოეპყრას, როგორც მას უნდა. აქ აუცილებელია აღინიშნოს, რომ, უპირველეს ყოვლისა, ადამიანს ქრისტიანული წესით უფლება არ აქვს საკუთარ თავს მოეპყრას სურვილისამებრ, რადგან ჩვენი სხეული არის *„ტაძარი სულისა წმიდისა“* (I კორ. 6; 19) და მისი შებილწვა შეურაცხყოფს უფალს და, მეორეც, ჩასახვის მომენტიდან ბავშვი დამოუკიდებელი არსებაა, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ მას შეიძლება ჰქონდეს დედისაგან განსხვავებული სქესი, კანის ფერი, თმის ფერი, თვით სისხლის ჯგუფიც კი! აბორტის სამედიცინო ასპექტების განხილვის შემდეგ, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამედროვე სამედიცინო აპარატების საშუალებით სავსებით და საბოლოოდ დადასტურდა, რომ ჩანასახი არის ადამიანი, რომელსაც აქვს სიცოცხლის უფლება, ბოძებული ღვთისაგან, რომლის წართმევა წარმოადგენს აშკარა გალაშქრებას საუფლო ნების წინააღმდეგ. ქრისტიანული ეკლესიისათვის აბორტი, როგორც ფეხმძიმობის შეწყვეტა, არა მარტო ზნეობრივად დაუშვებელი ქმედებაა, ყოველგვარი შელამაზების გარეშე, არამედ, ეს არის წინასწარგანზრახული, გააზრებული მკვლელობა! და ეს მკვლელობა უფრო ცოდვიანია, უფრო დასასჯელია,

უფრო ღვთის საძულველია, ვიდრე ნებისმიერი სხვა მკვლელობა, რადგან იგი ადამიანურ არსებას სიცოცხლეს იქამდე ართმევს, სანამ იგი იხილავს მას, და რაც მთავარია, წმ. ნათლობის საიდუმლოს მიღებამდე.

მეტად ჭკუის სასწავლებელ წიგნში, რომელსაც *„ცოდვილთა გადარჩენა“* ეწოდება, მე-5 თავში – *„არა კაც ჰკლა“,* შეგვიძლია წავიკითხოთ: *„ამ მცნებაში იგულისხმება სულიერი და ფიზიკური მკვლელობა, ანუ, თუ შენ მოყვასს უბიძგებ პროსტიტუციისაკენ, მკვლელობისაკენ, ან ნებისმიერი სხვა ცოდვიანი საქმისაკენ, ან თუ დაეხმარე მას ამ ქმედებათა ჩადენაში, შენ ძმის სულიერ მკვლელად ჩაითვლები“.* სხეულზე ნათქვამია: *„თუ მოკალი, სცემე ქალი, მიატოვე ბავშვი, მიიღე მცენარე ჩანასახის მოსაკლავად ან ჩასახვის საწინააღმდეგოდ, – ყოველივე ეს და სხვა მსგავსი მკვლელობაა და მკაცრად ისჯება“!* ადამიანი, რომელიც მუცელშივე კლავს საკუთარ შვილს, ემსგავსება ჰეროდეს, რომელმაც 14 ათასი ჩვილი გაანადგურა, რათა მისთვის ცხოვრებაში არავის შეეშალა ხელი. *,,ნებისმიერი ადამიანი, მიუხედავად იმისა, რას ფიქრობს თავად, აბორტის საშინელ ქმედებაში, მუცლად მყოფის მკვლელობის საშინელ ოპერაციაში თანამონაწილეობისას, მკვლელობის მონაწილეა, ჩადის უმძიმეს ცოდვას. დანაშაულს ღვთის წინაშე!“ (მიტროპოლიტი მელეტი).* აბორტი, მართლმადიდებელი სარწმუნოების მიხედვით, განიხილება ერთ-ერთ უმძიმეს ცოდვად! დიდი სჯულის კანონში მითითებულია, რომ აბორტის გამკეთებელი დედაკაცნი უნდა განკანონდნენ, ანუ დაისაჯონ *,,კანონითა კაცისმკველთაითა“.* ეს, სხვათაშორის, დიდი სჯულის კანონის არაერთ ნორმაშია მითითებული. წმიდა წერილიდან ირკვევა, რომ ბავშვს სული ეძლევა ჩასახვისთანავე. ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ის, რომ ბიბლიაში მოხსენებულ მამამთავრებს, წინასწარმეტყველებს და სხვა წმინდანებს, სახელი ჩასახვისთანავე ეძლეოდათ, როგორც ცოცხალ არსებებს. ეკლესია ცალკე აღნიშნავს წმ. იოანე ნათლისმცემლის მუცლადღების დღეს *6 ოქტ. ახ. სტილით).* წმ. დავით მეფსალმუნე ბრძანებს: *„შემიწყნარე მე დედის მუცლით ჩემითგან“.* ყოველივე ეს მიუთითებს იმას, რომ ეკლესია ჩასახულ ბავშვს აღიქვამს ჩვეულებრივ ადამიანად, რომელსაც აქვს სული, ბოძებული ღმრთისაგან და არის ცოცხალი არსება. მცირე კურთხევაში არსებობს საგანგებო ლოცვა იმ შემთხვევაში, როცა ორსულობა ნაადრევად შეწყდება *(ცხადია, ბუნებრივად).* ამ ლოცვის საკითხავები სინანულის შემცველია. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან შვილიერება ღმერთის წყალობად ითვლებოდა და ითვლება როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის ეკლესიაში. ამიტომაც ღმერთის წყალობის განშორება, ცხადია, სამწუხარო იყო ყოველი მორწმუნესათვის. წმიდა პავლე მოციქული პირდაპირ მიუთითებს ტიმოთეს მიმართ პირველ ეპისტოლეში (2;14), რომ *„დედაკაცნი ცხონდებიან „შვილთსხმისაგან, უკუეთუ ეგნენ სარწმუნოებით და სიყუარულით და სიწმიდით ღირსებასა ზედა“.*

აბორტი არაფრით არ განსხვავდება ადამიანის მოკვლის ცოდვისაგან! *,,მკვლელობის განსაკუთრებული სახეა აბორტი. ამ დროს თვით დედა ხდება მკვლელი საკუთარი შვილისა. სამწუხაროდ, ბევრნი ვერ გრძნობენ დანაშაულს, არადა ამისთვის მკაცრად დაისჯებიან. რა თქმა უნდა, დაისჯება ისიც, ვინც აბორტს აკეთებს“ (ილია მეორე).* აბორტის გაკეთებაში შემწეობა (ხელის შეწყობა) მკვლელობაში ხელის შეწყობაა.

წმ. იოანე ოქროპირს მიაჩნია: ,,... *რისთვის უნდა დათესო იქ, სადაც თავად ყანა მძლავრობს ნაყოფის დასაღუპად, სადაც მრავალი საშუალებაა დაბადების წინააღმდეგ, სადაც შობამდე სჩადიან მკვლელობას? ასე რომ, მეძავი არათუ სიძვაში გყავს, დამატებით მკვლელადაც აქცევ. ლოთობიდან მოდის სიძვა, სიძვიდან – მრუშობა, მრუშობიდან – მკვლელობა, რადგან არც კი ვიცი, სხვა რა ვუწოდო ამას. აქ დაბადებულს კი არ კლავენ, თავად მის დაბადებას ეწინააღმდეგებიან! რას იტყვი თავის გასამართლებლად? განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ღვთიურ ნიჭს შეურაცხყოფ? მიდიხარ ღვთიური წესის წინააღმდეგ, ესწრაფვი შეჩვენებას ლოცვა-კურთხევის ნაცვლად, დაბადების საგანძურს მკვლელობის საგანძურად აქცევ, ბავშვების გაჩენისათვის შექმნილ ქალს ბავშვების მკვლელობისაკენ უბიძგებ“* (წმ. იოანე ოქროპირი, რომაელთა მიმართ ეპისტ. განმარტებიდან, საუბარი 24, 4).

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეპიტიმია მკვლელთათვის ყველაზე მძიმეა როგორც სიმკაცრით, ასევე ხანგრძლივობით. გასაგებია, რას ფიქრობს ქრისტიანული ეკლესია თავისი წმინდა მამებით და მეცნიერება ამ საკითხზე, მაგრამ მინდა გაგიზიაროთ რამდენიმე ახლანდელი, ჩვეულებრივი მამაკაცის განცდებიც... **ბაჩო ზაქაიძეს** სულისშემძვრელად აქვს გადმოცემული მამის განცდილი აბორტი:

,,ვერ მოგისწარი ჩემო შვილო ბედმა დამცა და
ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით ვატოლებთ ხელებს,
ნეტა თუ მგავდი, რომ მენახე არც კი დამცალდა,
ვიცი დღეს ღამეც შენი სისხლი ამომახველებს.

მამი, თუ გრძნობდი შეციებულს ვინ გაორთქლებდა?!
(ნეტა ხის აკვანს, ჩემს გამოთლილს,
ახლა ვინ ურწევს?!)
ალბათ მოჰგავდი შემოდგომით წითელ ფოთლებს და
ვაი რომ მართლა ფოთლებივით დაგანაკუწეს.

შიშზე მეტია ტკივილები ბასრი სინათლის,
ეხეთქებოდი ვიწრო კედლებს ხელების ქნევით,
რამდენ „შენბედას“ გაუყევი, შვილო, ვინ დათვლის?!
სისხლი გდიოდა, წმინდა სისხლი ზევით და ქვევით.“

...,,აბორტის ცოდვა უმძიმეს ტვირთად აწვება ადამიანს, ოჯახს, მთელ ერს. ამ და სხვა ცოდვების გამოა, ზოგჯერ გაუსაძლისი რომ ხდება ჩვენი ყოფა. თუ არ შევაჩერებთ ყრმათა კვლას, უფალი არ შეაჩერებს იმ განსაცდელებს, ჩვენს ერს რომ განუწყვეტლივ ატყდება თავს. ვისაც მეტი მიეცა, მეტი მოეთხოვება. არ შეიძლება, ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს, ღვთის წყალობის იმედი ჰქონდეს, თუკი თავისი შვილების ხოცვას არ შეწყვეტს. ვისაც ეს ცოდვა ჩაუდენია – მხურვალედ მოინანიოს, ვინც აპირებს - შეჩერდეს, თითოეულმა კი ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ხმა აბორტის დამღუპველობის შესახებ ყველას მივაწვდინოთ!“ (საპატრიარქოს პრესცენტრი). ამ მძიმე სტატიას დავასრულებ ერთი ჩემი მეგობრის, ნიჭიერი პროზაიკოსის, **გიორგი გახოკიძის** ჩანახატით, რომელსაც ,,ოცნება“ უწოდა:

,,ის ღამე თეთრი იყო... ზღვის სანაპიროც თეთრი... დაფიფქულ ჩანთაში სუნთქვა მეკვროდა. დედა, იცი? გარეთ თოვს... მცივა, მაგრამ ყველაფერი ისეთი პირველია, როგორც მე. მე პირველი ვარ და შენ, ალბათ, ბოლო. დედა! არ გიცნობ, იქნებ შენი სახელი მითხრა? მე რა მქვია? რატომ არ მელაპარაკები? კარგი, ნუ მებუტები.... გინდა ბოდიშს მოგიხდი, რომ შეგაწუხე და თეთრ ღამეში სახლიდან გამოგაგდე. დე... ელვა გახსენი, ჰაერი მჭირდება! სუნთქვა მიჭირს... ეს რა ხმაურია დედა? თეთრი სამყარო? არ ვიცნობ, უცხოა ჩემთვის... ანგელოზები მოფრინდნენ. ვერ ხედავ? მე ვხედავ! ლამაზები არიან! რატომ გავჩერდით? დედა, სად წახვედი? დეე..... დედიკოოო! ანგელოზებმა სახელი დამარქვეს. არ გეტყვი, ახლა მე გაგებუტე სამუდამოდ! დაფიფქულ ჩანთაში სუნთქვა შევწყვიტე...“

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამასთანავე, საშინლად შემზარავიც და სამწუხაროც, მსგავსი განცდები ქალის გადმოცემული მე არ შემხვედრია... ალბათ იმიტომაც შეუძლია ქალს!..

იუბილე

ვუოცავთ!

ჩვენს კოლეგას, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, შესანიშნავ პოეტს, პუბლიცისტს, ბორჯომის კოლორიტს, უშანგი ჯანგირაშვილს (უჩა არაგვისპირელი), დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. მან ოთხი ათეული წელი გაზეთ ,,ბორჯომის“ რედაქციაში იმუშავა, პარალელურად, თანამშრომლობს „ლიტერატურულ მესხეთთანაც“ – მის ლექსებსა და წერილებს ინტერესით კითხულობს ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი. მას გამოცემული აქვს რამდენიმე პოეტური კრებული, არის ვაჟა-ფშაველას პრემიის ლაურეატი.

ამასთან, უშანგი ჯანგირაშვილმა, თავისი შესანიშნავი ნაშრომის – „ვაჟა-ფშაველას მხატვრულ სამყაროში“, გამოცემით, ვახტანგ კოტეტიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: „...შეიძლება ითქვას, ახალი სიტყვა თქვა ვაჟა-ფშაველას გმირების ხასიათის ამოცნობაში. კერძოდ, სრულად გახსნა ჯოყოლას სულის ტრაგედია და ამოხსნა აღაზას სიყვარულის „საიდუმლო“. მიაგნო აგრეთვე ვაჟას პოემების კომპოზიციურად აგების ერთ სპეციფიკურ ნიუანსს. საყურადღებო მოსაზრებები მოგვაწოდა ვაჟა-ფშაველას დიალოგის თავისებურებებზე.“

,,გული მღალატობსო“, – ამ ორიოდე წლის წინ თქვა და ვეღარ გააგრძელა ჟურნალისტური მოღვაწეობა, არადა, რამდენი რამის გაკეთება სურს... თუმცა პოეზიასთან მაინც განუყრელად დარჩა და ხშირად გულის ნადებს, თავის ლამაზ პოეტურ სტრიქონებში გამოხატავს.

იგი ერთ-ერთ ლექსში ამბობს: ადამიანის სიცოცხლე ზნეობა-უზნეობის ბეწვის ხიდზე სიარულიაო და, მართლაც რომ ასეა! – მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება კაცურ-კაცურად განვლო და ბორჯომელთა ჭეშმარიტად დიდი სიყვარულიც დაიმსახურა.

უშანგი ჯანგირაშვილი, მიუხედავად წელთა სიმრავლისა, მაინც ხალხის შუაგულში ტრიალებს, ყოველთვის თავის მართალ სიტყვას ამბობს, არ აკლია საზოგადოების ყურადღება და დიდი სიყვარული.

ჩვენს ერთგულ მეგობარს უპირველესად ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, შემოქმედებით წვას და ღმერთმა უფრო მეტი შეაძლებინოს რომ კვლავაც, თავისი ლამაზი პოეზიით, გაეხარებინოს თავისი ერთგული მკითხველი.

აქვე გთავაზობთ უშანი ჯანგირაშვილის ბოლოდროინდელ რამდენიმე ლექსს:

უშანგი ჯანგირაშვილი

წოდვიანი ნაფიქრალი

თითქოს მომწყინდა დილაც, საღამოც,
დრო-ჟამის სრბოლა, დარი, ავდარი;
ხან – გაზაფხული, ხან – შემოდგომა,
ხან – ზაფხული და ხანაც – ზამთარი...

ეშმაკეულმა რად გამკრა ფიქრმა?
ო, მაპატიე, უფალო, გვედრი!
რა იქნებოდა ცვალებადობის
გარეშე ჩვენი ყოფა და ხვედრი?!

აცხონოს ღმერთმა პაპა გრიგოლი,
სიბერის ჟამს რომ იტყოდა ლოცვით:
„დავამძიმეო ეს დედამიწა
ჩემი აქ ყოფნით, ძვლებით და ხორცით!“

.. მაშ, დაილოცოს კვლავ ყველაფერი
ეს წეს-განრიგი, ქვეყნად რაც არი!
კვლავ – გაზაფხული, კვლავ – შემოდგომა,
ისევ – ზაფხული, ისევ – ზამთარი!..

სიყრუხლის ნყურვილი

ჩემო სისხლძარღვებო, ჩემო ძვირფასებო,
იმ შლეგი თერგივით ზვირთს ნუ
ათამაშებთ!
პულსი დამიწყნარეთ, წუთს ნუ
ჩამიმწარებთ,
ამ წუთისოფელში ცოტაც მაფარფაშეთ!..

ზღვისპირს თოლიები წვიმამ გამოფინა,
ეკალ-ბარდნარებში ღობემძვრალას
სძინავს,
მყინვარების ძირში სოფელს კოცნის
მთვარე,
ქარაფების ჩრდილში სიო მონარნარებს...

ვიცი სამოთხეში კარგია და... მჯერა!
მაგრამ ამ სამოთხეს იქ ვერ ვნახავ, ვერა!
აქ დარჩება ეს მშვენება,
საქართველოს ეშხი,
ველ-მინდვრების რებუსები, ზღაპარი
თუ ლექსი...

უჩემოდ ამობრწყინდება მზე ცხრაწყაროს
თავზე,
უჩემოდ ჩამობინდდება ბაზალეთის ტბაზე,
უჩემოდ გაიმართება ჩარგალს „ვაჟაობა“,
ხევისბერის დალოცვა და ლაშარის ჯვრის
ყმობა...

ყველა როგორ ჩამოვთვალო,
საქებ-სატრაბახო,
ველ-მინდვრები – სავენახო, მთები –
საბალახო,
მდინარენი – საჩანჩქერო, ბევრგან –
საკალმახო...
დავიჯერო, სამოთხეში უკეთესი ვნახო?!

ამიტომაც, სისხლძარღვებო, ჩემო გულის
ფეთქვავ,
რა დროს არითმიაა და მართლაც გულის
ხეთქვა!

დამაცადეთ! დამაწყნარეთ! ზვირთს ნუ
ათამაშებთ,
ამ მოკლე წუთისოფელში ცოტაც
მაფარფაშეთ!..

ბეწვის ხიდი

ცდუნება იყო დიდი,
მაგრამ არ ჩატყდა ხიდი!
ეს ხიდი ბეწვის ხიდია,
გამივლია და იგია!..
ცხოვრება ცოდვით სავსეა,
– წუთისოფელი ასეა!
აჰა, გავსულვარ ბოლომდე,
– კარს მომდგომია ბოლო დღე!..
ჩემი კაცობით, რწმენით,
ტანჯვით და ცრემლთა დენით
განვლიე წუთისოფლის
ავ-კარგიანი დღენი;
და სანამ კიდევ ვღინღილებ
ამ წუთისოფლის მზეში,
ვიარო წელგამართულმა,
არსად დამიცდეს ფეხი!
ლუკმა გავუყო მოყვასს,
ვიდარდო სხვისი დარდიც,
თორემ ეშმაკი მზადაა,
იხმაროს რაღაც ფანდი!..

„იქ“ ბეწვის ხიდი სხვაცაა,
იმის ქვეშ ცეცხლის ტბაცაა,
აი, მერეა, რაცაა!!.

მობილურ ტელეფონს

აჰა, ჩაგრთე ქსელში და
დაიტენე, ტელეფონო!
მე ვინ დამტენის
მოხუცს, საცოდავს?
ვინ დამიტენის ძარღვებს,
როგორც შენ,
სიცოცხლის ფლუიდებით,
ვინ ჩამრთავს ქსელში?
თუმცა, მოიცა! –
სიყვარულით ხომ ისედაც
დატენილ-გაჟღენთილი ვარ!
და ასე მივალ
სამარის კარამდე...
ასე, რომ
არ მშურს შენი!

ვაანალიზებ

ვაანალიზებ, რაც თავს გადამხდა,
ხომ არ დავუშვი რამე გადახრა?
ზნეობის მდელო ხომ არ გადახმა,
შავმა მოზვერმა ხომ არ გადახნა?..

მადლობა უფალს, პირნათელი ვარ!
თუმც იყო რაღაც, ალი-ბალია;
ვფიქრობ და, მგონი, კვალს მივაგენი,
ესეც ადამ და ევას ბრალია!!..

თამარ ჯაყელი – დედოფალი გურიისა და ზარზმის სასწაულმოქმედი ხატის გადარჩენა

◀ დასაწყისი გვ. 6,7

და და როდესაც ქვეყანამ ოდნავ ამოისუნთქა, ყვარყვარე მესამე ჯაყელმა თავის სიძეს, გურიის მთავარს ვახტანგს და მის დედოფალს – თამარ ჯაყელს სთხოვა ზარზმის ხატი დაევანებინათ გურიაში.

ყვარყვარე ჯაყელს უმძიმდა ამ ხატთან განშორება. მესხებმა იცოდნენ, რომ ეს ხატი 886 წელს შეიქმნა სამცხეში და იგი ჩორჩანელთა საგვარეულოს ეკუთვნოდა, რომელთა შთამომავლებიც იყვნენ ჯაყელი-ციხისჯვარელები. „ფერისცვალების" ხატი არაერთხელ იყო მოხსენიებული ბასილი ზარზმელის თხზულებაში – „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება", სადაც VI-VII საუკუნეების ამბები იყო აღწერილი. განსაკუთრებითაა ნათქვამი, რომ ზარზმის წინამძღვარმა „სრულყო ეკლესია და შეამკო ყოვლითა სამკაულითა და აღმართეს მას შინა ხატი ფერისცვალებისაო". ხატის კომპოზიციის ცენტრში, ოვალურ „დიდებაში“ გამოსახული იყო ფეხზე მდგომი ქრისტეს მთლიანი ფიგურა, მაკურთხებელი მარჯვენით; ტრადიციის თანახმად, წინასწარმეტყველები ვედრების პოზაში იდგნენ უფლის წინაშე. ეს ხატი საქართველოს სამეფოს შექმნის იდეასაც შეიცავდა. სიღრმისეულად განათლებულმა მესხმა დარბაისლებმა იცოდნენ, რომ 888 წელს, ამ ხატის შექმნიდან 2 წლის შემდეგ, სწორედ მესხეთში შეიქმნა ქართველთა სამეფო, შესაბამისად, საქართველოს დიდებასა და სამყაროს მაცოცხლებელ სიწმინდეებს შორის მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას უსვამდა ეს დიდებული ხატი ხაზს.

მაგრამ მესხეთისკენ ირანისა და ოსმალეთის ჯარები იყვნენ დაძრულნი, ამიტომაც მესხებმა დაუჩოქეს მათ მფარველ სიწმინდეს და ხატს ცხარე ცრემლით გამოემშვიდობნენ.

***

სწორედ შემოქმედის ეკლესიაში, გურიაში, დედოფალმა თამარ ჯაყელმა გააგრძელა აღმშენებლური საქმიანობა წინაპრებისა და დაამშვენა გურიელთა მთავარი საძვალე მრავალი საკულტო მშენებლობით.

როდესაც გურიის მთავარი ვახტანგ გურიელი გარდაიცვალა, მისმა მეუღლემ მთავრის საფლავზე დაასვენა სასწაულმოქმედი ზარზმის ფერისცვალების ხატი, სამაგალითოდ დაიტირა მეუღლე და შემდგომი საქმიანობით მთელ გურიას სულიერი მხნეობა და სიმტკიცე მოჰფინა.

***

დღეს ზარზმის ფერისცვალების ხატი ორი განყოფილებისაგან შედგება: დიდ ხატში ჩასმულია შედარებით მომცრო ზომის ღვთისმშობლის ხატი ჩვილით, ოქროს ამობურცულ შეჭედილობაზე ჩასმულია სამი ხოშორი თვალი: ფირუზი, ლალი და იაგუნდი. უკანა მხარის ვერცხლის გარსამოსზე იკითხება შემდეგი წარწერა „ქ: ეჰა: საშინელო: და შვიდთა ცათა: უმაღლესო ქერობინთა უწმიდესო: და სერობინთა: უზეშთაესო: ყოველთა წინასწარმეტყველთაგან: დედად ღთისად: მოსწავებულო: ქალწულო: დედოფალო: ღთის: მშობელო: მოგიჭედინეთ: ხატი: სახისა: თქვენისა: ოქროთა: მურასად: თვალითა: და მარგალიტითა ჩვენ: სასოებით მმონდობილმან: ცვა: ფარვათა: თქვენთამან: დედოფალმან:ათაბაგის: ქალმან: ბატონმან თამარ: თანა: მეცხედრემან: გურიელისა: ვახტანგისამან: და დავასვენეთ: შემოქმედს: საფლავსა: ზედან: გურიელისა: ვახტანგისასა: დახსნად: სულისა: მისისათვის: დღესა: მას: დიდსა: განკითხვისათვის და შესანდობლად: და ძისა: ჩემისა: გურიელისა: ბატონისა: ქაიხოსროსათვის: სადღეგრძელოდ:მხედრობისა: და ‧ელმწიფობისა: მისისა: წარსამართებელად: და დასამკვიდრებლად: შეიწირე: შენ: ყდ: წმიდაო: დედოფალო: ღთის მშობელო: ვითარცა: ძემან: შენმან: სამნი: იგი: მწვლილნი: ქვრივისანი: და გვასმინე: ‧მა: იგი: სანატრელი: მოვედით: კურთხეულნო: მამისა: ჩემისანო: ამ წუთს: სოფელსა: დღე: გრძელობა: და სინანული: მაღრსე: და დაუსრულებელი: დღე: აბრაამის: წიაღთა: შინა: დამიმკვიდრე.“

***

ამ ამბიდან მრავალმა საუკუნემ განვლო. შემოქმედის ეკლესიათა შორის, ყოველთვის გამოირჩეოდა „ახალი ზარზმა“, რომელიც ვახტანგ გურიელმა და მისმა თანამეცხედრემ თამარ ჯაყელმა, დაუტოვეს მომავალ თაობებს, სულიერი სიმტკიცისათვის.

თავად ზარზმის ფერისცვალების სასწაულმოქმედი ხატი გურიას შველოდა.

დიდი ექვთიმე თაყაიშვილი აღფრთოვანებული იყო ზარზმის ფერისცვალების ხატით და მის გადარჩენაზე ზრუნავდა. 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილს აღნიშნული ხატი შეტანილი აქვს შემოქმედის მონასტრის ზარზმის ეკლესიის სიძველთა აღწერაში, სადაც მოყვანილი აქვს ზედ არსებული წარწერები. მისი სიტყვებით „რაკი ამაზე უძველესი ხატი იშვიათია არა თუ გურიაში, არამედ მთელ საქართველოში“, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია განსაკუთრებით დავიცვათ იგი.

***

ზარზმის ფერისცვალების ხატი, სასწაულმოქმედი სიწმინდე, შემცველი მრავალი საიდუმლოისა და მნახველი მრავალი დროისა, გადამრჩენელი საქართველოისა, დღესაც გვესაუბრება ღვთიური სიბრძნითა და სიყვარულით, ჩვენ, დიდ წინაპართა ნაშიერებს.

ჩვენი აგარაკები

ურაველი (ახალც. მაზრა). წელს, აქაურ რკინის წყლებს, გზების უვარგისობის მიუხედავად, ბევრი ხალხი მოაწყდა, ასე რომ საქირავებელი სახლი აღარ იშოვება.

წელს სახლის ქირამ, გავლილ წლებთან შედარებით, ერთი სამად იმატა. სანოვაგე ცეცხლის ფასად გახდა, რადგანაც მოაგარაკეთა ბედ-იღბალი ჩარჩ მედუქნეებზეა დამოკიდებული.

მოაგარაკეთ არავითარი გონივრული გასართობი აქვთ, თუმცა შეეძლოთ თავიანთ შორის შეედგინათ წრე, რომელიც დროგამოშვებით გაჰმართავდა წარმოდგენებს, სალიტერატურო დილა-საღამოებს, მოაწყობდა ჟურნალ გაზეთების სამკითხველოს მაინც და სხვ.

ურაველის რკინის წყალი მკურნალთა მიერ ძლიერ მოწონებული და სისხლ-ნაკლულთათვის სისუსტისათვის უებარი წამალია. ეს კავკასიის ყველა კუთხის მცხოვრებთაც კარგად იციან, რადგან ყოველ ზაფხულს მოდიან და მთელ ზაფხულობით რჩებიან. აქ 80-ზე მეტი მშვენიერი საზაფხულო სახლია, მაგრამ მთავრობა არა ფიქრობს დღემდე რიგიან გზის გაყვანასაც.

ისეთი განსაცდელით მოგზაურობენ მოაგარაკენი ურავლის უვარგის გზებზე, რო გაგიკვირდებათ. ურმითა და ცხენითაც კი გასაჭირია უხიფათო მოგზაურობა. წარმოიდგინეთ, მე ჩემი თანმხლები მგზავრიანათ ფეხით წავედით ახალციხიდან ურაველს და იმისთანა კაპნები (კლდის ბილიკები) ჩავიარეთ, რომ ფეხი დაგვსხლეტოდა, უფსკრულში ჩავიკარგებოდით.

აი ამ საცურავ კლდეებზე დაიარებიან ცხენები შიშითა და კანკალით. ორი წლის წინედ ხმა იყო, მაზრის უფროსი ბ. ყარალაშვილი აკეთებს მუსხის ხიდს და ურაველის გზასაო. ხალხის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მარა არ ვიცი რა გარემოებამ შეუშალა ხელი უფროსსა, რო დღემდე არაფერი გაკეთებულა. ნეტაი დიდი მანძილიც იყოს 15-20 ვერსს ძლივს აღემატება ახალციხიდან ურავლამდე.

თუ მართლა გაკეთდა როდისმე ეს გზა, უეჭველად უფრო მეტი შემოსავალიც ექნება ხაზინას, რადგანაც ბევრს უზომავს სამოსახლოდ სახაზინო ადგილებსა.

არაა ეჭვი, რომ გზის გაკეთება დიდ სახელს მოუტანს ურავლის წყლებსა, სადაც შორეულ ადგილებიდანაც მოვლენ სააგარაკოდ.

მესხი კ. გვარამაძე
„სახალხო გაზეთი“, 1911 წელი, N355

მესხ-ჯავახელი ლტოლვილნი

ამას წინათ ქუთაისში ვნახე ლტოლვილები მესხეთ-ჯავახეთისა. მე, როგორც მესხმა (ქ. ახალციხელმა), რა საკვირველია, ბევრი ვიცანი.

ერთ ჯავახელს დაუწყე ლაპარაკი, საუბარი.

– რომელი სოფლიდან, ან ქალაქიდან ხართ გამოქცეული და რა გვარი ხართ?

– „ფრანგი“ ვარ, „ფრანგი“ და კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ მე გავაწყვეტინე ლაპარაკი.

– მაშ თქვენ „ფრანგი“ ხართ, აბა ერთი, მითხარი საფრანგეთის რომელ ქალაქიდან მოხვედით? ქართული ლაპარაკი სად ისწავლეთ?

– არა, შე დალოცვილო, „ფრანგი“ ვარ, „ფრანგი“, კათოლიკე, ჯავახეთის სოფელ ხიზაბავრიდან. ახალქალაქის მაზიდან, იობი მქვიან, გოგოლაძე ვარ გვარად.

– მაშ, თქვენ ყოფილხართ ქართველი, ტომით ქართველი და სარწმუნოებით კათოლიკე, ე.ი. ქართველ-კათოლიკე.

– დიაღ, შენი ჭირიმე, სწორედ ამბობთ.

– რად უწოდებთ „ფრანგებს“ თავს?

– რა ვიცი, შე დალოცვილო, მე უსწავლელი, სოფლის კაცი ვარ, წერა-კითხვა არ ვიცი.

ჩვენმა მღვდლებმა გვასწავლეს, რომ ჩვენ „ფრანგები“ ვართ.

ჩვენს ეკლესიებში სომხურ ენაზეა – „ტერმოღორმიას“ იძახიან ხოლმე. ჩვენ სომხური არ გვესმის, მხოლოდ კვირა დღეობით, წირვის დროს სახარებას წაიკითხავენ ხოლმე ქართულად და ქართულად იქადაგებენ ჩვენი მღვდლები და აი, მაშინ გავიგებთ ხოლმე ქრისტეს სწავლა-დარიგებას.

ზემო აღნიშნულ გოგოლაძის გარდა მათთან ერთად ვნახე იმავე სოფლის ქართველ-კათოლიკეები ნინა ფალიაშვილი, კატო ხუციშვილი და ლიზა შეშაბერიძე, გოგოლაძეს წამოეყვანა თან ორი-სამი წლის ბავშვი, თავისი ძმის შვილი, რომელიც მისი ოჯახითურთ დაუხოცავთ თათრებს. ფალიაშვილთან თუ ხუციშვილთან იყო სოფ. დადეშიდამ, ახალქალაქის მაზ. წამოსული ქალიშვილი, 10 წლისა ქართველ-მართლმადიდებელი მზექალა ბერიძე. ამ პატარამ არ იცოდა მშობლები ცოცხალი დარჩნენ თუ თათრებმა დახოცეს.

შემდეგ გამოვკითხე გოგოლაძეს ჯავახეთის ამბები. მან დაწვრილებით მიამბო ცრემლიანი თვალებით თუ რა განიცადეს: ტანჯვა, წვალება, მწუხარება – ქალწულების დედ-მამის თვალწინ გაუპატიურება, ხოცვა-ჟლეტა და სხვ.

სომხებს ქართველებიც მიგვაყოლეს და

ვინც ვერ გამოიქცა, ამოჟლიტეს თათრებმა.

შემდეგ გოგოლაძემ მიამბო თუ რა აუტანელ ტანჯვა-წვალებას განიცდიან მესხეთ-ჯავახეთის ლტოლვილები ბაკურიანში: შიმშილით, სიბინძურით, უსახლკაროთ ცის ქვეშ იხოცებიანო.

ჩვენ არავინ გვეხმარება, სომხებს – ლტოლვილებს კი ვიღაც მონოშოვი (მანთაშევი) დიდ ფულს უგზავნის.

ამ უმაგალითო ომმა სამი სახელმწიფო შეაიარაღა.

საჭიროა მთავრობის მზრუნველობა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში გაფანტულ მესხ-ჯავახელთადმი.

მესხი პ. გურგენ ბეგიშვილი,
„სახალხო საქმე“, 1918 წელი, N391

ჯავახელი ლტოლვილნი

კახეთის რკინის გზის უფროსმა გზათა მინისტრს დეპეშით აცნობა, რომ 23 ნოემბერს სიცივით შეწუხებული საგარეჯოს მახლობლად დაბანაკებული ჯავახელი ლტოლვილები მიაწყდნენ საგარეჯოს რკინის გზის სადგურს და ძალით დაიჭირეს იგი. თუ ზომები დროზე არ იქნა მიღებული, მოსალოდნელია მათგან ძალმომრეობა გზის მოსამსახურეების წინააღმდეგაო. რკინის გზის უფროსის განკარგულებით გამოთხოვილია ათი ვაგონი ლტოლვილთა ბადიაურში გადასაყვანად, მათი რიცხვი 2 000-ზე მეტია. გზის უფროსი სთხოვს სამინისტროს საჩქარო ზომებს.

„სახალხო საქმე“, 1918 წელი, N393

მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტი

(მოწოდება საზოგადოებისადმი)

ერთ წელზე მეტია, რაც საქართველოს საუკეთესო ნაწილი, ძველი მესხეთი და ჯავახეთი მუდმივი ომის ცეცხლშია გახვეული. ჩვენი კულტურის აკვანი, საქართველოს თვალ-მარგალიტი, საუკუნოების განმავლობაში ითელებოდა ოსმალეთის ტლანქი ქუსლებით, რამაც დასცა მესხეთის კულტურა, ნანგრევებათ აქცია თვალწარმტაცი კუთხე და მესხეთ-ჯავახელებს წილად ხვდა დაუსრულებელი ტანჯვა და ცრემლები.

დღეს ეს მხარე საშინელ სურათს წარმოადგენს. მთელი ჯავახეთი გაძარცული და ნახევრად გადამწვარია. ოსმალებმა გაზიდეს ჯავახელთა ოფლით მონაგარი სარჩო საბადებელი, ცეცხლსა და მახვილს მისცეს გლეხკაცობის სახლ-კარი, ხოლო მრავალი ამოწყვიტეს და უსუსური ბავშვები ობლებათ დაყარეს.

არა ნაკლები დღე დაადგა ახალციხის მაზრას. ჯერ იყო და შარშან სრულიად გაანადგეს ოსმალეთის ჯარებმა 15 ქართული სოფელი. ნაწილი ქართველებისა ჯავახეთით ბაკურიანის ტყეებს შეეხიზნა, ხოლო მეორე ნაწილი დარჩა ღვთის ანაბარათ ოსმალთა ხელში, რომელთა ცხოვრება ექვსი თვის განმავლობაში წარმოადგენდა საწამებელ საკანს.

ჩვენმა ისტორიულმა მტრებმა ესეც არ იკმარეს. ბაკურიანის ტყეებში დამზრალი ლტოლვილები, უპატრონო ობლები, გაეშურენ თავის კარ-მიდამოში, მაგრამ ფოცხოვის ავანტიურამ ერთხელ კიდევ აწამა ისედაც უსაზღვროთ განაწამები ხალხი. დღეს დარბეულთ და უპატრონოთ ქართველი მუსლიმანებიც მიემატნენ.

ყველა ამათ დახმარება უნდათ!

ეხლა თესვის დროა, მინები უნდა დაამუშაონ, რომ მომავალში კიდევ შიმშილში არ ჩაცვივდეს ხალხი.

მთავრობამ გადაწყვიტა ყოველმხრივათ შეეცადოს განაწამებ ხალხის ტკივილების განკურნებას, დაეხმაროს მათ რითაც კი შეგვიძლია.

მარა, მარტო ეს არ კმარა. ორი დიდი მაზრა, ორი უდიდესი კუთხე საქართველოისა დღეს იღუპება და მას უდაბნოთ გადაქცევა მოელის, თუ ჩვენ დროზე არ მივეშველეთ. ობოლი ბავშვების ცრემლიანი ვედრება ცას წვდება, გლოვის ზარი გაისმის ამ ოდესღაც მხიარულ და მომხიბვლელ კუთხეში.

ქართველმა საზოგადოებამ აქ ჩვეულებრივი გულ-მხურვალებით და გატაცებით უნდა მოკიდოს ხელი თავისივე ძმების შიმშილისაგან დახსნის საქმეს. საზოგადოებრივმა ინიციატივამ უნდა გამოიჩინოს აქ თავი, რომ მთავრობას საშუალება მისცეს გადაარჩინოს ეს მხარე შიმშილით სიკვდილს.

აი სწორედ ამ მიზნით ჩვენ განვიზრახეთ თფილისში და საქართველოს სხვა დაბა ქალაქებში „მესხეთ ჯავახეთის დამხმარე კომიტეტის“ დაარსება, რომლის დანიშნულება იქნება დაუყოვნებლივ ზომები მიიღოს დამშეულთა გამოსაკვებათ.

დღეს, საღამოს ექვს საათზე გოლოვინის პროსპექტზე, სახლი N24, იქ, სადაც მეომართა დამხმარე კომიტეტი იყო მოთავსებული, არის დანიშნული „მესხეთ ჯავახეთის დამხმარე კომიტეტის“ დამფუძნებელი კრება.

ჩვენ მივმართავთ საზოგადოებას თხოვნით, რომ ყველა იმან, ვისაც შესტკივა გული ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მხარეზე და ამ საქმეში შეუძლია რაიმე დახმარება გაგვიწიოს, მობრძანდნენ დანიშნულ საათზე ამ ბინაზე, რომ სასწრაფოთ შევუდგეთ საქმეს და ხალხი შიმშილით სიკვდილს გადავარჩინოთ.

მოქალაქენო, მესხეთი და ჯავახეთი შველას ითხოვს, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ხელაწვდილი ობლები უპატრონოთ დაძრწიან დანგრეულ სოფლებში და პური უნდათ. მანდილოსნებო, თქვენ არა ერთხელ მოვლინებიხართ მხსნელებათ ობლებსა და უპატრონოთ. დაწყებული აჭარიდან, ვიდრე ომში დაღუპულთა ოჯახებამდე, თქვენ მიდიოდით ამ უპატრონო ხალხთან და მშობლიურ დახმარებით უმსუბუქებდით მწარე ტკივილებს. მესხ-ჯავახელებიც დღეს ასეთ შველას ითხოვენ თქვენგან.

არ დაგავიწყდეთ, რომ დღეს „მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტ.“ დაარსების დღეა. მოიხადეთ თქვენი მოქალაქეობრივი მოვალეობა.

დამფ. კრ. წევრები:

ი. გომართელი, პ. სურგულაძე, ქ. შარაშიძის ასული, ლ.რუხაძე, ოსმან მიქელაძე.

„ერთობა,“ 1919 წელი, N80

ცოტა რამ საყურადღებო საგანზე

რამდენიმე ათი ათასი ჯავახელ-მესხელი ქართველი ამ ჟამად ბაკურიანის ტყეებს და წალკის უდაბნო მინდორ-მთებში იმყოფება. ვინც ყოფილა და უნახავს მათი ყოფა მდგომარეობა, ის თუ წარმოიდგენს იმ აუტანელ პირობებს, რომელშიც ისინი იმყოფებიან. ჭეშმარიტად ტრაგედიას განიცდის ეს მართლაც და გმირი და ღირსეული ხალხი, დედა ქართლისაგან დავიწყებულ კუთხეების. ხალხი ბუნებით მეომარი, ხალხი ჩვეული ასე თუ ისე ლაღ და მაძღარ ცხოვრებას, დღეს დავრდომილი, მშიერი იძულებული შეიქმნა მათხოვრობა დაიწყოს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ საბრალოთ ესეც არ ეხერხებათ.

საბუთიანია და სამართლიანი ჯავახელ მესხელების საქართველოსადმი გულის წყრომა. შეცდომები არ უნდა განმეორდეს. დღეს შველას ითხოვენ ჩვენი მოძმენი მრავალ ტანჯულნი, გმინავენ, კვნესიან უდაბნოებში და ჩვენი მოვალეობა არ არის, მათ მივხედოთ, ვანუგეშოთ მაინც? სულით დაცემულნი გავამხნევოთ?

გაიხსენეთ გაზ. „ერთობაში“ დაბეჭდილი წერილები ჯავახეთ-მესხეთის შესახებ. რა გრძნობით სავსენი, რა აღტაცებით იყვნენ ისინი დაწერილნი, რა ქება-დიდებას ასხამდა ავტორი იმ ხალხს. ავტორი ჰგოდებდა და, ცხარე ცრემლებს აფრქვევდა საყვარელი კუთხეების დაკარგვის გამო. მეც დიდად დამამწუხრა იმ გოდებამ, იმ წერილების შთაბეჭდილება წარუხოცელი იქნება ჩემი გონებიდან, მაგრამ აქ მებადება კითხვა, ბევრზე იქონიეს ამ წერილებმა ასეთი გავლენა? ბევრს ჩასწვდნენ სულის სიღრმეში და გაულვიძეს მიძინებული გრძნობა მოძმის დახმარების? ვიტყვი, ბევრს არავის. შეიძლება წუთიერი შთაბეჭდილება მოახდინა, მეტი არაფერი. ტფილისში, როდესაც ამ გადმოხვეწილთა შესახებ მიმართავ ვისმეს, გიპასუხებენ: აუარებელი საქმე გვაქვს, ცხოვრება საერთოდ მოუწყობელი. ასე, რომ სწრაფად დახმარება არ შეგვიძლიაო.

საზოგადო აზრი ჯავახელ-მესხელებისა როგორც ეს გავიგე მათთან პირადათ ბაასის დროს აწინდელი მდგომარეობის შესახებ ასეთია: სურთ დაბრუნება, მშობელი კერა მამაპაპური არ უნდა გავაცივოთო, ოღონდ მთავრობამ მცირეოდენი გარანტია მოგვცეს. პირველ ხანებში სრულ უარზედ იყვნენ უკან დაბრუნებაზე, მაგრამ აუტანელმა პირობებმა და უმთავრესად იმ გარემოებამ, რომ ისინი, როგორც მთის შვილები ბარს ვერ შეეგუენ, მათი მაცხოვრებელი ჯოგები სრულიად გაწყდნენ უბალახობის გამო, ამის შემდეგ სხვა გადაწყვეტილებას დაადგნენ.

მხოლოდ ერთი რამ დიდათ აწუხებთ, რომ ისინი მეტად მოწყვეტილნი არიან საქართველოს ცენტრს. ამ მოსაზრებით მათ საჭიროდ სცნეს, უკეთუ მათი სურვილი განხორციელდა და შეიწყნარეს მათი ვედრება, აირჩიონ ერთი წარმომადგენელი მუდმივი, რომელიც წარსდგებოდა ეროვნულ საბჭოში, როგორც ნება სურვილების გამომხატველი ამ დაბეჩავებული ხალხისა. მგონი სამართლიანობა მოითხოვს ამას, ვინაიდან თუ კი საინგილოს მიენიჭა უფლება იყოლიოს საბჭოში თავისი წარმომადგენელი, თუ კი სამაჰმადიანო საქართველოს აქვს ეს უფლება, მე მგონია, რომ ჯავახეთ-მესხეთიც ამის ღირსი უნდა იყოს.

ამ მიზნით აირჩიეს კიდეც მასწავლებელი ვ. მ-ძე, რომელიც შესაფერი მანდატებით აღჭურვილი უკვე ქალაქში იმყოფება, როგორც ეტყობა ჯერ დანიშნულ მიზნისთვის ვერ მიუღწევია მას. იმედია ანგარიშს გაუწევს ვისაც ჯერ არს, ამ თხოვნა -მუდარას და დააკმაყოფილებენ ჩაგრულთა ვედრებას.

მესხელი ვალიკო,
„სახალხო საქმე“, 1918 წელი, N281



„კაცობრიობამ წერტილი უნდა დაუსვას ომს, თუ არა და ომი დაუსვამს კაცობრიობას წერტილს.“

ჯონ კენედი

ფოლკლორი

მოგზაური ხელმწიფე

(ზღაპარი)

ხელმწიფემ თავის ლალას (გამზრდელს) უთხრა: წამოდი, ჩვენი ქვეყნიერება მოვიაროთ, გავიგოთ, ვინაა ჩვენი მადლიერი და ვინ მომდურავიო. გამგზავრების წინ დაფიქრდნენ, საით ავირჩიოთ სავალი გზაო. გაიხედეს შორს და ნახეს ერთი გლეხი ყანას ხნავდა. ეს გლეხი გაიტანდა კვალს და ცეკვავდა, გამოიტანდა კვალს და ისევ ცეკვავდა. ხელმწიფემ უთხრა ლალას, ნეტა რა აცეკვებს ამ კაცსო. გადაწყვიტეს სახში სტუმრებოდნენ ამ გლეხს საღამოხანს, როცა მუშაობას მორჩებოდა.

კარგა ხანს უთვალთვალეს გლეხის ცეკვა-თამაშს და საღამოს სახში მიადგნენ: „ბარაქალა შენს შრომას და კარგი მოსავალი ყანასო“! – მიესალმნენ გლეხს. გლეხმაც თავმდაბალი სალამი უთხრა და სახში შეიპატიჟა. გლეხის ცოლი გამოეგება სტუმრებს, მერე ხარები დააბა, ქმარს ფეხები დააბანინა. მერე გამოუტანა ქმარს სუფთა და ძვირფასი ტანსაცმელი. სტუმრებს გაუშალეს სუფრა ნაირნაირი საჭმლებით. ვახშმის შემდეგ სტუმრები ცალკე მოასვენეს. ნამუშევარ გლეხს მალე დაეძინა. მეფე და მისი ლალა კი საუბრობდნენ. ამისთანა ცოლის პატრონი რომ ცეკვავდეს მუშაობის დროს, რა გასაკვირია, – მე სამი ცოლი მყავს და ასე რომ მექცეოდნენ, ომშიც კი ვიცეკვებდიო, – თქვა მეფემ და გადაწყვიტა გლეხის ცოლი თითონ წაეყვანა, ხოლო თავისი სამი ქალი კი მისთვის მიეცა.

დილით როცა ხელმწიფეს გამოეღვიძა, ნახა რომ ქალი ამდგარიყო და საჭმელი უკვე მოემზადებინა. ხელმწიფე შეეკითხა გლეხს. ასეთი პატივი გვეცი და რატომ არ გვკითხავ, ვინა ვართ და საით მივდივართო?

გლეხმა მიუგო:

– თქვენც დაღლილები იყავით და ჩვენც და როგორ შემეწუხებინეო? მაგრამ, უთხრა გლეხმა, რაკი თქვენ თქვით, მეც მოგისმენთო.

ხელმწიფემ უთხრა – ჩვენ წამოვედით, რათა გაგვეგო ჩვენს სახელმწიფოში ვინ გვემადლიერება და ვინ გვემდურებაო. დაგინახეთ, როგორ ცეკვავდი ხვნის დროს და გაგვაოცა შენმა მოქმედებამო.

გლეხმა უთხრა:

– მაგისი მიზეზი ჩემი ცოლიაო. ისე მექცევა, რომ დაღლილობას ვერასოდეს ვერა ვგრძნობო.

ეს რომ ხელმწიფემ გაიგო, თითონ გლეხის პირით, თავისი სურვილი გაუზიარა. შენი ცოლი მე უნდა წავიყვანო, სამაგიეროდ ჩემ სამ ცოლს შენ მოგიყვანო.

გლეხი დაღონდა, მაგრამ ხელმწიფეს უარი ვერ ჰკადრა. წამოვიდნენ ხელმწიფე და ლალა და წამოიყვანეს გლეხის ცოლი. ქმარიც თან გაჰყვა, მისი ცოლების წამოსაყვანათ. გლეხმა იფიქრა, იქნება მომკლასო და ჩოხის შიგნით ხანჯალი შემოირტყა ჩუმად.

სასახლეში ხელმწიფემ ნადიმი გამართა, მერე მოიყვანა სამივე ცოლი და გლეხს უთხრა: დღეიდან ესენი შენ გყავდეს და როგორც გინდოდეს, ისე მოექეციო. გლეხმა წამოიყვანა ქალები და თან უკან-უკან იხედებოდა, ეშინოდა, არ მომკლანო. მიადგნენ მდინარეს. გლეხმა უთხრა ქალებს: ამ მდინარეში უნდა გავტოპოთო. შუა მდინარეში რომ შევიდნენ, კაცმა ისინი შეაჩერა და უთხრა: ეს წმინდა მდინარე არის, აქ უნდა დავდოთ ფიცი ცოლ-ქმრობაზე. მანამ ფიცს დავდებთ, ჯერ თქვენი ხასიათები გამაცანითო. ერთმა თქვა: მე ყველაფერს გაგიგონებ, ყველაფერში მოგემსახურები, ოღონდ ერთი ნაკლი მაქვს – პირზე მოსული სიტყვა თუ მოვითმინე, მოვკვდებიო. გლეხმა იფიქრა, ამისთანა ენის ქალს არაფერი ეშველებაო და ხანჯლით თავი მოჰკვეთა. მერე მეორემ თქვა: მე რომ არ ვიქურდო, არ შემიძლიაო. გლეხმა მას არაფერი არ უთხრა. მესამემ თქვა: ცუდ გზაზე რომ არ ვიარო, ისე ვერ გავძლებო.

გლეხმა ამ ორს გამოუძღვა და მიიყვანა სახლში. დილით გლეხმა ქურდი ქალი იხმო და უთხრა:

ყველაფრის გასაღებებს გაბარებ. მე ქურდობას არ გიშლი, მაგრამ თუ შეგამჩნიე, ისეთივე ამბავს დაგმართებ, რაც ენატანია ქალსაო. ასევე დაემუქრა ცუდ გზაზე მოსიარულე ქალს. ამის შემდეგ გლეხი დაემშვიდობა მათ და ყანაში სამუშაოდ წავიდა. დარჩნენ ეს ქალები მარტონი. იფიქრეს, ჩვენ იმისთანა დღე მოგველის, რომ უნდა მოვიშალოთ ჩვენი საქციელიო. მთელი დღე ისე გაატარეს, როგორც კარგმა ოჯახის ქალებმა. გლეხი როცა სამუშაოდან დაბრუნდა, მიეგებნენ, ხარები გამოუშვეს, ორივემ ფეხები დააბანინეს და მერე ვახშამი აჭამეს. სამივენი ერთად დაწვნენ. ყველაფერს ისე აკეთებდნენ, რომ გლეხისთვის ესიამოვნებინათ. აქამდე თუ გლეხი მუშაობისთვის კვლის თავში და ბოლოში ცეკვავდა, ახლა შუაშიც ცეკვავდა.

ხელმწიფე და ლალა დაინტერესდნენ გლეხის ბედით და ერთხელ კიდევ გაეშურნენ მის სანახავად. ნახეს გლეხი შუა კვალშიაც თამაშობდა. საღამოს სახშიც ესტუმრნენ და როცა ნახეს გლეხის ცოლების საქციელი, ძალიან კმაყოფილები დარჩნენ. არც გლეხი არ იყო უკმაყოფილო მეფისა და კარგად აქეიფა.

მთქმელი ალექსანდრე ლეკიშვილი,
43 წლის, სოფელი თოკი,
ასპინძის რაიონი,
ჩაიწერა ამირან გომართელმა
1965 წელს.
თსუ ფა N3766

სოსო ვარდიძე

მესხეთის მთებს

მსურს ჩემ სამშობლო ქვეყანას
ღიმილით მივესალამო...
ცრემლად ავფეთქდე მის
წყლულზე
დავადნე, როგორც მალამო.

აი ხომ ხედავ ლურჯ მთებსა,
იქ იდგა ჩემი აკვანი...
იქ ვიშვი, იქ აღვიზარდე,
იქ შევისწავლე ანბანი.

იქ ნაძვის ფოთლის შრიალი
მეტყოდა ტკბილსა ნანასა,
ბულბული ვარდის ბუჩქიდან
შეჰყეფდა მინდორ-ყანასა.

ღამის ცრემლები ყვავილებს
ცვარ-მარგალიტად ფენოდა,
ლაღათ გაშლილი კუკური
ზურმუხტ ბუჩქებსა შვენოდა.

და ნაპრალ კლდიდან
მოხეთქილს
წყაროს წინწკლები სცვიოდა,
შებუტბუტებდა მიდამოს
თითქოს რაღაცას ჩიოდა.

ხან შაშვის ტკბილის ჭახჭახით
ალხენდა არე-მარესა,
ხან მწყემსი სალამურის ხმით,
ფიქრებს აბნევდა მწარესა.

მით შემიყვარდა სამშობლო,
გულს ხატად დამისვენია, –
ბევრი რამ მახსოვს უტკბესი,
თუმც ბევრჯელ ცრემლიც
მდენია.

1918 წელი

მესხური გამონათქვამები

***

სამოთხეში შევედი და ეშმაკებით სავსე დამხვდაო!

***

ცხვარში მგელი შევარდაო და ვაი ერთის პატრონსაო.

***

ცოცხალს არ მეცვა კაბანი, მკვდარს მიკერემდნენ კუბოსა.

***

თაგვს საბან-ბუმბულში აწვენდნენ და თაგვი სოროში მირბოდაო.

***

ითხოვე, ათხოვე და სული აცხონეო!

***

ასი ერთსა მცემდეს, რა მოუხერხო?

***

თუ ნიადაგი არ ვარგა, ხვნა-თესვა გასაჭირიაო.

მადლობა

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია მადლობას უხდის ახალციხელ ბიზნესმენებს

გია ამირანაშვილს, თენგიზ ხითარიშვილსა და სიმონ თელიაშვილს

ფინანსური დახმარებისათვის

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში (გვ.3) გია ტულუშის ლექსის სათაურში ნაცვლად „ღმერთის ღაწვები“-სა უნდა ეწეროს „ღმერთის ღაწვებზე“.

გაზეთის ელ.ვერსიების არქივი: ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“ (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა)

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო N19/4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit.meskheti@yahoo.com